

1897 12

№ № VII დ ამ

გვერდი  
საბუთო ცენტრ



1897 ივლისი დ აგვისტო

## უფრნალ „ჯეჯილისა“

I	ძალი და თაგვი ლექსი—პ. მღვიმელისა . . . . .	3
II	ობოლი (გადმოკეთებული) მოთხრობა—კანოსი . . . . .	5
III	მერტელების ბუღე (ფრანგულიდან)—კანოსი . . . . .	22
IV	თიკანი და მგელი (ეზოპიდან), ლექსი—პ. დავითაშვილისა .	29
V	პატარა ლორდის თავ-გადასავალი, თარგმანი—ე—ჭოსი .	31
VI	გველების ამბავი (თარგმანი)—ჭოტესი . . . . .	50
VII	უნუგეშო დედა ლექსი—პ. ნინო რაჭელიძისა . . . . .	62
VIII	გავონილი ზღაპარი—თულია ჭალატოვისა . . . . .	68
IX	პირუტყვა ჰეკუ-გონება თ. კანდელავისა . . . . .	66
X	საკვირველებანი ბუნებისა —ლ. ადრიაშვილისა . . . . .	82
XI	ძევლი პურმარილი ეის ახსოეს—ბესათიონისა . . . . .	85
XII	მიხაკი—დადასი . . . . .	88
XIII	აზრიანი გლეხი—ად. მარიანაშვილისა . . . . .	90
XIV	სამეცნიერო გასართობი—ბორჩისი . . . . .	9
XV	წერილმანი . . . . .	9

უფრნალი „ჯეჯილი“ 1897 წელსაც გამოვა ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს—ეჭვის მაკივრათ და უკრნალი მხოლოთ ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბილისში 4 პ. და ქალაქ გარეთ 5 პ.)



ქურნალი

345  
1892/2

იზარდე, მწვანე ჯეგალო.  
დაცული, გახდი ყანაო..  
.. ღ.

№ VII და VIII

საქართველო მერვე წლის



ტფილი

სტამა გ. ვ. როგორიანცია || თამ. მ. დ. როთინაძე. გოლ. არ., ა. № 41.  
1897.

Дозволено цензурою Тифлисъ, 9-го Июля 1897 года.



## ქარლი და თაგვი.

(გადმოკეთებული)



აღლმა თაგვი გამოაგდო  
საროდან და გაეკიდა;  
არც დადგომას, არც გაქცევას  
იმ უბედურს არ აცდიდა.

სან თათებით ათამაშა,  
სან უკბინა, სან დატუნა,  
წამს გაუშვა, კვლავ მეიშერო,  
აწვალა და აწრუწუნა.



თაგვს მოსწერინდა და უთხრა მაღლს:  
— სკობს მომექცე გულახდილათ,  
ბარებ მითხარ, დამიმტკიცე,  
რაც სარ ჩემთვის შენ ნამდეილათ.

—ମୋହନୀଙ୍କ କାର୍,—ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ,  
ରାଧାତ ମୁଦ୍ରନ ରାତ ମାଗୁନ୍ଦେଖେବ;  
ତୁ ମୃଜରି କାର୍, ମାତ୍ର ରାଧାକୁଟୁମ୍ବିଲେ  
ମେହଲେବି ରା ମିଳାଇରେଖେବ!?

(ପ୍ରଥମ — ଦ୍ୱାଦ୍ଵାରା)  
— ମେନିକୁଟାନା ମାଗନ୍ତି ଗ୍ରାମରେ  
ଗାନା କି ଲାଇଲେ ମୋହନୀଙ୍କ ଯୁଗଳା!  
ଅକ୍ଷଳାଙ୍କ ନାହାଙ୍କ-ରାତ୍ରି ବାର ମେନି!  
— ଗାଗୁର ରା ଗାରିଲାକୁଳା.

୩. ମଲ୍ଲେଶ୍ମେଲି.



## ო ბ ი ლ ი.

(გადმოკეთებული).

I.

**ნ**ოებრის ციფი საღამო იყო; ქარი ზუშუნით წა-  
 მოუბერავდა ხოლმე თოვლს, რომელიც არე-მარეს  
 თეთრი სულარასავით გადაჰქოდა; აიტაცებდა ჰაერ-  
 ში და იქ გამარევდა. მზე დიღი ხნის ჩასული იყო;  
 ქალაქის ვიწრო გადასახევეე, თავისი ლარიბული ქო-  
 ხებით, უმისოთაც ბნელი ახლა სულ ჩამობნელებუ-  
 ლიყო. დაბალ გასერილ სახლის კიბესთან ჩა წლის  
 გოგო ჩამომჯდარიყო; ფეხები შიშველი ჰქონდა და  
 დახეული კაბა მის სუსტ ტანს ძლიერა ჰვარავდა.  
 ეტყობოდა, 'მემოდგომის ციფი ქარი ძეალ-რბილში  
 გაჯდომოდა, მაგრამ უპატრონო და ჯეთის აჩარათ  
 დატყვებული სიცივეს, დიღი ხანია, შეჩვეოდა. გამვ-  
 ლელ-გამომელელი მას უურადღებას არ აქცევდა.  
 გასაკვ-რევლც არ არის: ის არ იყო ლამაზი, არ  
 ჰქონდა იმ გვარი მიმზიდველი სახე, როგორიცა აქვთ ხოლმე ჯან-  
 მრთელ, მხიარულსა და ცქრიალა ბაეშებს. მის ყეითელ სახეს შავი  
 აწეწილი ქოჩორი გარს შემოხვეოდა, მოლუშულ წარბებ ქვეშ ორი  
 დიღრონი თვალები სევდიანათ გამოიყურებოდა. დედა მას არ ახ-  
 სოედა. რაც გონებაში ჩავარდა, მას აქეო დედის ტკბილი ალერსის  
 მაგიერ მხოლოთ ლანძლვა-გინება ყყურებიდა — სხვა არაფერი; ყმაწ-  
 ვილური მხარულება ჯერ ერთხელაც არ გამოუცდია. სიხარულს

მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როდესაც იმ ქუჩაზე მოხუცი მელიფლი-  
 ფე გამოჩნდებოდა ხოლმე თავისი კიბით. უოველ დღე ელოდა მას  
 და გაფაციცებით უყურებდა, მოხუცი რომ ლიფლიფის ბოძს კიბეს  
 მიადგამდა, ავიდოდა ზედ და ლიფლიფას აანთებდა. მოკიდებულ  
 ფილთის ალს ქარი ააპარპალებდა და ეს პატარა გოგოს რაღაც სი-  
 ხარულს მოჰვენდა ხოლმე. თავის უცნობ მოხუცს სიყვარულით და  
 მადლიერებით საესე თვალებს გააყოლებდა, შემდეგ ისევ მოიწყენ-  
 და, ისევ ილუშებოდა.

— გერტი, მოისმა კარებიდან ვიღაცას რიხიანი ხმა,— რძე მო-  
 იტანე?

გოგო სწრაფათ წამოხტა, ამოეფარა სახლის კედელს და სუ-  
 ლი განაბა.

— სად ეშმაკში დაიკარგა? აი დალახვეროს ღმერითმა!

ამ სიტყვებით გარეთ გამოვიდა მოხუცი ქალი, რომელიც გერ-  
 ტის ეძებდა. მეზობლის უმაწვილს გერტი დაენახა და იმან მოხუც  
 ქალს მიუთითა, სადაც პატარა გოგო დაიმალა. ნანგრევნტმა (მოხუ-  
 ცი ქალის სახელია) წავლო ქოჩორში ხელი საბრალო გოგოს, ჩა-  
 უთავაზა ორიოდე კისერში, მისცა ქილა და უბრძანა, ახლავე რძე  
 მოიტანეო. გერტიმ მოჰვერცხლა; მას ეშინდა, ვაი თუ მელიფლიფე  
 უჩემოთ მოვადეს და ჩემი საყვარელი სურათათ ვეღარ დავტკბეო.  
 მაგრამ ბედმა შეიბრალა; როდესაც ის მობრუნდა რძით საესე ქალით,  
 მელიფლიფე უკვე მოსულიყო და ლიფლიფის შუშას წმენდავდა.  
 გერტიმ მას მიაშურა და დაუწყო გულ. მოდგინეო ცქერა; რძე სრუ-  
 ლიად გადავიწყდა. როდესაც მოხუცმა ლიფლიფას ცეცხლი მოუკი-  
 და და მისმა ალმა ციმციმი დაიწყო, გერტის სახე გაუბრწყინდა, მი-  
 სი გონება მთლათ ლიფლიფამ მიიპყრო და მოხუცის კიბიდან ჩა-  
 მოსელა ვეღარ შეამჩნია. მელიფლიფეც ვერ ჰქედავდა გერტის, რად-  
 განაც მისკენ ზურგი ჰქონდა შექცეული და ჩამოსელის დროს გერ-  
 ტის მიეჭახა; საბრალო გოგო წაიქცა, ქილა ხელიდან გაუვარდა,  
 დაიმსხერა და რძეც დაიღვარა.

— ერიპა! წამოიძახა მელიფლიფემ: აქ საღიდან გაჩნდი ბალლო? გერტი მარდათ წამოხტა ზეზე და, როდესაც დარწმუნდა, რომ იყე სრულიათ დალერილიყო, ეოცა.

— ყური დამიგდე, გოგონა,—უთხრა მელიფლიფემ, — დედა შენი ხომ გაგიჯავრდება ახლა? მაგრამ რა გაეწყობა, ნუ სწუხარ; ხეალ ისეთ საჩუქარს მოჯიტან, რომ ყოველისფერი დაგვიწყდეს. თუ დედა გაგიჯავრდეს, უთხარი, რომ ჩემი ბრალი იყო. მაინც რა გინდოდა, კიბესთან რომ გაჩერებულიყავი?

— გიყურებდი ლიფლიფას რომ ანთებდი, — უპასუხა გერტიმ. ამ დროს კარებიდან მოხუცმა ქალმა გამოიხედა; დარწმუნდა საქმე რაშიაც იყო, ეცა გერტის და სახლში შეაგდო. მელიფლიფეს უნდოდა გერტის გამოსარჩებოდა, მაგრამ ქალმა კარები დაკეტა და გერტის ცემა, ლანძლება და გინება და-უწყო! შემდეგ დაამწყვდია პატარა ბნელ ოთახში, რომელშიაც გერტის აწვენდა ხოლმე და ის პატარა პურის ნატეხიც კი აღარ მისცა, რომელიც გერტის ჩეკულებრივ ვაკშამს შეადგენდა.



საბრალო გერტის ამ ხუთი წლის წინეთ მოუკვდა დედა, რომელიც ამავე სახლის ეზოში ცხოვრებდა. ქმრის რჩევით პატარა გერტი ნანგრენტმა წამოიყვანა და მის ცემასა და ლანძლება-გინების მეტს არას აკეთებდა.

ბნელ ოთახში დამწყვევული გერტი მცირე ხანს ფიქრმა გაიტა..., შემდეგ დაუშინა კედელს მუჭი და ყვირილი მორთო. როდესაც ამითი ვერას გახდა, დაწყნარდა და ტირილი დაიწყო. საბრალო ბავ-

ში თავის თავს დიდ უბელურათ გრძნობდა; ხედავდა, რომ ყველას ძულდა და მოვერება, ტკილი სიტყვა კი არავისგან ესმოდა.

ბევრი იტირა გერტიმ და როდესაც ცოტა დამშეიდდა, გახსედა პატარა სარკმელში. მოკაშკაშებულ ცაზე დაინახა ერთი დიდი ვარსკვლავი, რომელიც თათქოს მას უალერსებდა და ანუგეშებდა.

— „ნეტა ვინ დაანთო? — იფიქრა გერტიმ. ვინ ავადა იმსიმალ-ღლებზე? ნეტაი მაყურებია!“ ამ გვარ ფიქრებში დაქანცულსა და მშა-ერ ბავშვს ტკილათ ჩაეძინა.

— ს ტირა დორმანი — თემეთის ნით მედოვთოთ იუბილუსა —  
წელი თემეთის დორმანის მიზანი II.

მეორე დღეს გამოიღიძა თუ არა, გაიგონა რამდენიმე კაცის ხშა, რომლებიც იქითა ოთახში ლაპარაკობდენ და რაღაცას ილან-ძლებოდენ. საწვალ გერტის დებისა და ძმების მხიარული ჟღავილ-ჟღუვილის, დედ-მამის ალერსისა და კოცნის მავიერ, მთელი დღის განმავლობაში, გამოლვიდებისათანავე, ლანძლვა-გინების მეტა არა ესმოდა-რა. გერტი ადგა, ჩაცვა და, გავიდენ თუ არა მოსაუბრენი ოთახიდან, წყნარათ გამოვიდა, რომ დარჩენილი ნამცეცებით მარც გაეყუჩებია შიმშილი; მისი ჩეცულებრივი საუზმე ყოველთვის ამგვა-რი გახლდათ.

— შეხეთქე ჩქარა და გამეცალე, თვალთ ალარ დამენახო! და-უყვირა ნანგრენტმა.

გერტიმ საჩქროთ შეჭამა, რაც მონახა: ორიოდე კოეზი წევინი, პურის ყუა; დელის დატოვებულ ძველ შალში გამოეხვია და გამო-ვიდა გარეთ. ცივი დილა იყო; გერტის კანკალი დააწყებია. ეზოს იქით მდინარე მიდიოდა. მდინარის ნაპირს ფიცრები იყო დაწყობი-ლი. ზაფხულის გრძელ და თბილ დღეებში გერტი უმეტეს დროს აქ ატარებდა ხოლმე; დაჯდებოდა ფიცრებზე და გადაჩერებოდა მდი-ნარეს. აქ მას არავინ არ ლანძლავდა და არ აგინებდა, მხოლოთ აქ გრძნობდა ის თავის თავს ბედნიერათ; მზე ათბობდა, გრილი ნიავა-

გარს ევლებოდა და ეალერსებოდა, მდინარეზე ნაეები მიმოცურავდენ და გერტიც ამით ერთობოდა ხოლმე, მაგრამ ხშირათ აქაც გაახსენდებოდა საბრალოს თავისი საშინელი მარტოობა, და დაიწყებდა ხოლმე ტირილს.

მას ამხანაგები არა ჰყავდა, თუმცა ეზოში ბევრი ბავშები იყვნ, რომელთანაც გერტის თამაში შეეძლო, მაგრამ მათ გერტი არ უყვარდათ. ყველას აბუებული ჰყავდა; მასთან თამაშს ერიდებოდენ. გაიარა თბილმა ზაფხულმა, შემოდგომაც მიიწურა. აცივდა. მღანარის ნაპირას ჯდომა სახალისო აღარ იყო, მაგრამ პატარა გერტი მაინც აქ მოეშურებოდა ხოლმე. რაიმე საქმე რომ მიეცა მისთვის ნანგრევტს და სახლში დაეტოვებია, გერტის ის ერჩია, მაგრამ მოხუცა დედეკაცი ყოველისფერს თვ-თან აკეთებდა, გერტის არაფერს არ ასწავლიდა; მხოლოდ საღამოობით გავზანიდა რძის მოსატანათ.

ნანგრევტს ერთი შეილის მეტი არა გააჩნდა-რა და ისიც უხეირო გამოადგა; ქმარი ზღვაზე წაეიჟა სამუშაოთ და ეს რამდენიმე წელიწადია, აღარ მოსულა, არც აღარაუერი შეუტყობინებია. გულალრინებული და ხისიათ წამხდარი ნანგრევტი ყველას გულის ჯაერს საბრალო გერტიზე ყრილობდა.

გერტიმ ახლაც მდინარის პირას დაწყობილ ფურცებს მიაშურა. იქ ქარი არა ჰქონდა, თბილოდა. გერტი დაჯდა და მდინარის წყარო ღელვას ყურება დაუწყო. გაახსენდა წინა-საღამოის შემთხვევა და მოხუცი მელიულიფე.

— საჩუქარს მოგიტანო, წაიბურიბუტა გერტიმ, — ნეტა რას მომიტანს? რა კაი იქნება, ფეხსაცმელებს რომ მომიტანდეს! მაგრამ ერ დამინახავდა, რომ ფეხშიშეელა ვიყავი. ნეტა საღამო მაღე დადგებოდეს! გერტიმ გადაწყვიტა, ღლეს რძე აღრე მოეტანა, რომ მე. ლიულიფეს არ გაესწრო. თუმცა ღლე გაჭანურდა, მაკრამ, როცა იქნა დალამდა და გამოჩნდა მელიფლიფე ტრუმან ფლინტი თავის კიბრი. რა დაინახა გერტი, რომელიც მას ლიოლიფასთან უდიდა, მაუალერსა და უთხრა:

— რა ვწუხვარ, რომ გუშინ რძე დაგალვრევინე! განა შენი ბრალი იყო, რომ გაგლახეს! ამ სიტყვებით მან ამოილო რაღაც ჯი-ზიდან, მისცა გერტის და უთხრა: აი, გუშინ რომ საჩუქარს დაგპირ-დი; მოუარე და, თუ დედას გამოევანა, უთუოთ ძალიან შევიყვარ-დება. შემდეგ ანთო ლიფლიფა და თავის გზას გაუდგა.

გერტიმ ხელში რაღაც რბილი არსება იგრძნო; გაშინჯა სი-ნათლეზე და დაინახა რუხი კწუტი, რომელიც მას მხარზე შეახტა და კრუტუნი დაიწყო. გერტის ჯერ გაუკეირდა, რადგანაც ამ გვარ საჩუქარს არ მოელოდა, მაგრამ კატის ალერს-კრუტუნმა იმ-დენათ გაახარა და გული გაუმხიარულა, რომ გადაწყვიტა, აღარ მოეშორებინა. გერტის ყველაფერი დაავიწყდა. მთელი მისი არსება კატის მოელამ და ჭმევამ შთანთქა. კწუტს მალავდა, რადგანაც ნა-გრენტი გაუჯავრდებოდა და კწუტსაც გადაუგდებდა; ლამე თავისთან იწვენდა ბნელ ოთხში, დღისით ჩასვამდა ხოლმე ძველ ქუდში, რო-მელიც სანახვეზე იპოვა, და წყლის პირა, ფიცრებთან, წაი-ყვანდა. ხან-და-ხან კწუტი ოთხიდან გამოხტებოდა და სამზარეუ-ლოში შემოვიდოდა; ნანგრენტი მხოლოთ დაუცაცხანებდა ხოლმე, მიხევდრათ კი ვერაფერს ვერ მიხედა. ამგვარათ გადიოდა დრო. გერ-ტის თავის კწუტი საშინლათ შეუყვარდა. მას თავის საყოფ საჭმელ-საც არავინ აძლევდა და კატას რაღა დარჩებოდა, მაგრამ მისთვის გერტი ჩუმათ იპარავდა საჭმელსა და რძეს... გლახა საქმეს ჩაღიო-და, მაგრამ საბრალო გოვონა იმგვარათ იზრდებოდა, რომ რა ეცო-დინებოდა კარგისა და ცუდის გარჩევისა.

### III.

ერთმა თვემ გაიარა, რაც გერტის კწუტი აჩუქეს. გარეთ ძა-ლიან აციედა, მაგრამ გერტი უშეტეს დროს მაინც მდინარის პირას ატარებდა. ამიტომ ერთ ცივ წეიმა-თოვლიან დღეს გერტი გაციედა და; რომ მობრუნდა სახლში, ხეელება დაწყებინა და სიცხე მისცა.

ნანგრენტს შეეშინდა, მართლა მძიმე ავათმყოფი არ შეიქნესო და სამზარეულოში დაწეინა, უფრო თბილათ იქნებათ. ცეცხლის შვენიერი ღუზღუზი გერტის ძალიან მოწონდა, აქ მას არ მოეწყინებოდა, მაგრამ ერთი რამ აწუხებდა: მისი რუხი კნუტი მარტო იყო და, ვინ იცის, რა დღე ადგა.— „შიშილით მოკედება“, ჰუიქრობდა გერტი: „ერთიც ვნახოთ, აქ შემოცუნცულდეს! როგორ გავამხილო, რომ ჩემია?“ გერტი საფიქრებელში ჩავარდა, არ იცოდა რა ექნა. სალამოს, როდესაც ნანგრენტის შვილი თავის ამხანავებით გახშის საჭმელათ შემოვიდა, მათთან ერთათ სამზარეულოში რუხი კნუტიც კუდის ქნებით შემოცუნცულდა.

— ეს საიდან-ლა გაჩნდა? თქვა ერთმა.

— არ ვიცი ვისია. გააგდეთ გარეთ, თქვა ნანგრენტმა. მაგრამ ვიღრე კატას გააგდებდენ, ის გაძერა გერტისაკენ, შეახტა მას მუხლებზე და დაუწყო კრუტუნი.

— შენი კნუტია? დაეკითხა ნანგრენტი.

— ჩემია! გულადათ მიუგო გერტიმ.

— ბარაქალა! როდის გაიჩინე, ქალბატონო, კნუტები? თქვი ახლავე, საიდან მოიყვანე, თვარა ამოგართვი სული?

საბრალო გერტის არ უნდოდა, ეთქვა, მელითულიფე მაჩუქაო, დაიბნა და ტირილი დაწყო.

ნანგრენტმა რამდენიმე მეჯლუგუნი წაჲრა კისერში, ქოჩორსაც მიწვდა. შემდეგ წამოაელო კატას ხელი, გაისროლა კარებისაკენ და აღუღებული წყლით სავსე ქვაბში კი ჩაგდო. კნუტმა საშინლათ დაიჩავლა და, სანამ გერტი მიეშველებოდა, წყალში ამოიფუფქა. გერტის გონება დაებნა, გაბრაზდა, წამოაელო ჯოხს ხელი და, რაც ღონე ჰქონდა, ნანგრენტს თავში დაჲრა. სიბრაზით მოხუც დედაკაცს თვალის კაჭლები გამოუცვინდა; წაელო გერტის ქოჩორში ხელი, ძალზე მიტყიპა, შემდეგ გააგდო კარებში და მიაძახა.

— დაიკარგე საცა გერჩიოს, რომ ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს, შე გველის წიწილო, შენა! მოხუცმა ჩაიკეტა კარები და

ტიტველი-შიშველი, აეათმყოფი ბაეში ბჩელსა და ცივ ღამეში დატოვა.

საბრალო გერტი მიეყუდა კედელს და ზორთო ტრიალი, მაგრამ თავის გაჭირვება კი არ ატირებდა მას, არა, —ის არც სიცივეს გრძნობდა არც ეშინოდა რასამე; გულს უკლავდა მხოლოდ იმისი სრკედალი, რომელიც მას უყვარდა; თეალ წინ უდაა აღულებული ქვაბი, შიგ ამაფუფქული კწუტი და ეს უკლავდა გულს, ეს ატირებდა ასე მწარეთ

ერთბაშათ ვიღაცამ მას ხელი მოჰკიდა, ეს იყო მელიფლიფე; მან იცნო გერტი, რომელსაც კატა აჩუქა, მოეალერსა და ჰეითხა, რა მოგიერდა.

— კწუტი, ჩემი საყვარელი კწუტი! ზლუქუნებდა ბაეში.

— რა დაემართა, დაგვეკარკა? ეკითხებოდა მელიფლიფე, — მაგის-თვის რა გატირებს!

— არა კი არ დამეკარგა, მაპკლეს! და ამ სიტყვებთან გერტის უფრო ამოუკარდა ჩული, გულ კეთილი მოხუცი ამშეიდებდა გერტის, სახლში დაბრუნდი, თორემ გაციედებია, მაგრამ გერტის არა ეყურებოდარა.

— რომ წავიდე, ისევ გამომავდებს, ამბობდა ის, — მე თვითონაც არ წავალ არაფრისოთვის.

— ვრ გამოგაგდებს? დედაშენი?

— ნანგრენტი! უპასუხა გერტიმ.

— ვინ არის ევ ნანგრენტი?

— ანჩხლი, გლახა ბებერი; მძულს, ჩემი კწუტი ქვაბში ჩაგდონ ხომ ვხეთქე ჯოხი თავში! ვაი დედა, რომ ტვინი ვერ გადმოვადინე.

— გაჩუმდი, აბა რას ამბობ, შე საბრალო! სად არის დედა შენ?

— დედა ჩემი მოკვედა.

— ვაი შენი ბრალი, შე საცოდავო! წაილაპარაკა მოხუცმა და თავი ჩაქინდრა.— წამოგყები და ნანგრენტს შეგარიგებ.

გერტი არ დათანხმდა.

მელიფლიფე მარტო წავიდა ნანგრენტთან. როდესაც უკანასკნელმა მელიფლიფეს სიტყვები მოისმინა, უზრდელათ უპასუხა:

— შეილი არ არის ჩემი და შეილის-შეილი, კრისტიც უტეხია! ჩემ სახლში იმას გავაჭაჭანებ კიდევ გულის გასაკეთქათ?

— მაშ სად უნდა წავიდეს თითის სიგრძე ბავში? ეუბნებოდა მელიფლიფე, — ნუ თუ გიამებათ, ხვალ რომ თქვენი კარების წინ გაყინული ნახოთ?

— თქვენ რა ჭირისუფალი გამოუწიდით? თუ აგრე გებრალებათ, რატომ არ წაიყვანთ?

რა დაინახა მელიფლიფემ, რომ ბებერთან ვერას გაარიგებდა, უკან გამობრუნდა და გერტის უთხრა:

— ქალბატონი აღარ გიყარებს.

— უჰ, რა გამეხარდა! წამორძახა გერტი.

— სად წახვალ ახლა, შე საწყალო?

— რა ვიცი, თქვენ წამოგყებით და გიუურებთ, ლიფლიფების ანთებას.

— მერე ძილი აღარ გინდა?

— ძილი?.. აი ქუჩაში დავიძინებ რა! ვარსკვლავებსაც დავინახავ.

— ქუჩაში როგორ დაძინებ?! ვერა ჰქელავ, რომ ზამთარია?

მელიფლიფე იდგა და არ იცოდა, რა ექნა. მარტოხელი კაცი იყო, ცოლი მას არა ჰყავდა, სილარიბეში ცხოვრებდა და თითის სიგრძე ბავშის თავი სადა ჰქონდა.

ამდროს გერტის ხეელება აუვარდა. მელიფლიფე შენიშნა, რომ ბავში ავათ იყო და გადაწყვიტა, თავისთან წაეყვანა.

— წამომყევი! თქვა მან, მოჰკიდა გერტის ხელი და გაუდგა გზას.

გერტი მაშინვე გაჰყვა. მელიფლიფეს რამდენიმე ლიფლიფა კი-

დევ დარჩენოდა ასანთები; ამიტომ სანამ ის თავის საქმეს მორჩებოდა, გერტის ყოველისუერი გადავიწყდა; შეჩერებოდა ლიფლიფებს და უხაროდა, როცა ცეცხლს დაინახავდა. როდესაც მოხუცმა თავის საქმე გაათავა და გზას გაუდგა, გერტიმ ჰკითხა:

— ახლა სადღა უნდა წავიდეთ?

— სახლში, ჩემთან! ალექსიანის ხმით უთხრა მოხუცმა, მოჰკიდა ხელი და წაიყვანა.

— ა კიდევ მოვეძით, თქვა მელითლიფებ და გახერდა დაბა-  
ლი კარების წინ, გააღო და შეეიტა ეზოში.

ეჭომი იდგა ორ სართულანი სახლი. მოხუცი სულ განაპირობა  
კხოვრებდა ერთი პატარა ოთახში; მისი მეზობლებიც არ იყენ იმა-  
ზე მღიღრები. მელიფლიფეს ოთახი არც იმდენათ პატარა იყო, მაგ-  
რამ ყოველივე შივ მინგრეულ მონგრეული იყო, თავის ალაგას არა-  
ფერი არ იდგა. ან კი სად ჰქონდა საბრალო მოხუცის მილაგების  
თავი; ამიტომ ოთახი პატარა ჩანდა. მელიფლიფემ კიბე კედელზე  
მიაყუდა და ბუხარში ცეცხლის გაჩალება დაიწყო, რადგანაც მასაც  
და გერტისაც ძალან შეცივდათ. როდესაც შეშამ ბუხარში ტყაცუ-  
ნი დაიწყო, მელიფლიფემ დადგა ბუხრის წინ ძველი სამფეხა სკამი,  
გადააფინა ზედ ტყავი და გერტი დასვა. შემდეგ ჩაისა და ვახშმის  
მზადებას შეუდგა. მალე მოუტანა გერტის დიდი ფიჯანი ჩაი და რძე,  
ერთი დიდი ნატეხი პური და ეხვეწებოდა, კარგათ ჭამე, რომ  
გაძლეო. გერტის ამისთანა ვახშამი არაოდეს არ ღირსებია და ისე  
მაღიანათ შეექცეოდა, რომ მოხუცის თავისი შიმშილი გადავიწყდა  
და სულ მას შექრებოდა.

ტრუმან ფლინტი შეტათ გულკეთილი კაცი იყო; ყველა უყვარ-  
და, ყველა ებრალებოდა. ბავშვისას ძალიან მხიარული და ცეკვი-  
იყო; თხუთმეტი წლისა დაობლდა და სრულად ულუქმა პურით  
დარჩა. ამიტომ ჯერ გაზეთების ტარება დაიწყო, შემდეგ მეტლეო  
იყო, მხერხაობაც გამოსცადა, ბოლოს ერთ ვაჭართან მუშათ დადგა

და საქონელი გადაჭრონ-გადმოჭრონდა. აქ ერთი უბედურება შეემთხვა: ერთხელ ზურგზე უშეელებელი ყუთი ეკიდა, წამოჭრა ქვას ფეხი, წაიქცა და გული იტკინა. ამას შემდეგ მთელი ერთი წელი-წალი იავათმყოფა და, როცა მორჩა, მელიულიფეთ დადგა. ეს საქმე უფრო აღვილი იყო; თავისუფალ ღროს სხვა საქმეებსაც აკეთებდა და ამგვარათ იოლათ გამოდიოდა.

ახლა ის სამოცი წლისა უკვე შესრულდა, მაგრამ ჯერ ისევ ჯან ღონით სავსე იყო და მისი დანაოჭებული სახე მუდამ მხიარულათ და ალექსანრი გამოიყურებოდა.

გერტი გათბა, გამოძლა და მალე მიეძინა; პატარა ხანს წყნარათ ეძინა, მაგრამ მალე ააძიგმიგა და ბოლეა დაწყებია.

მელიულიფეთ მოუჯდა გვერდით, გახურებულ მაჯაზე ხელი მოჭკიდა და ყური დაუგდო.

— ხელი არ ახლოთ ჩემ კატას, ბოდავდა გერტი, — ბოროტო, საძაგელო!.. მიშველეთ, მიშველეთ!..

ტრუმანი უელიდა გერტის, როგორც შეეძლო. ბავში მალე დაწყნარდა და რამდენსამე ხანს იქით თვალება გაახილა.

— თქვენ კეთილი ხართ, მე მიუვარხართ, თქვენ ალარ მოგშორდებით! უთხრა მოხსუცს.

ტრუმანს გული აუღელდა, თვალებზე ცრემლები მოერია; მი-და ბალიშზე თავი და დაუწყო გერტის ალექსი:

— შენ ალარავის დაგანებებ, ნუ გეშინია. არც მე მყავს არა-ვინ, შენც ობოლი ხარ; ვაცხოვროთ ერთათ და, რაც ღმერთმა მოგვცეს, მით დავკმაყოფილდეთ.

#### IV.

მეორე დღეს გერტის საშინელი სიცხე მისცა, თავი ატკიცდა, მთელ ტანში ტკიცილებმა დაურბინეს. როდესაც თვალები გამოახილა, ჯერ ეერ მიხედა, სად იყო, მაგრამ მალე გაახსენდა გუშინდელი შემთხვევა და სახემ გაულიმა:

— ახლა კეთილ ბიძია ტრუსთანა ვარ (შელიფლიფეს ასე ეძახდა გერტი). აღარავინ გამლახავს, აღარავინ დამიწყებს ლანძღვა-გინებასო, ჰუნებრივი ბავში.

ავათმყოფობა თან-და-თან უძნელებოდა, სიცხეს უმატებდა, ხშირათ გული უწუხდებოდა, ბოდავდა. საბრალო ტრუმანი მთელი დღე სულ თავს დასტრიალებდა, ღამე აღარ ეძინა. როცა თავის საქმეზე მრდიოდა, მაშინ გულკეთილ მეზობლის მოხუც ქალს, სულლი-განს, დატოვებდა ხოლმე, რომელიც ავათმყოფ ბავშს დედის მგზავ-სათ უვლიდა.

გაიარა ამ გვარათ სამმა კეირამ. ერთხელ ვერტის ტკბილათ ჩაეძინა, სიცხე გამონელდა, დაზხანს ეძინა და, როდესაც გამოელება, თავს კარგათ გრძობდა, სრულ გრძობაზე იყო. ოთახში ვიღაც დაინახა და დაცქერდა, რომ გაერჩია, ვინ იყო. სულლივანი სწრა-ფათ მიერიდა მასთან, გადახურა საბანი და უთხრა:

— დაწექი, შეიღო, ჯერ ვერ ადგებირ — და ისევ დაწვინა, თვი-თონ აიღო საკერავი, მოუჯდა გერტის და კერვა დაიწყო.

— თქვენ ვინა ხართ? ვერ გიცნობთ! მრმართა გერტიმ: ბიძია ტრუ რა იქნა?

— ახლავე დაბრუნდება. ხომ კარგათა ხარ ახლა?

— კარგათ ვარ, უპასუხა გერტიმ. — დაზხანს მეძინა?

— დაზხანს და კარგათაც ვეძინა. ახლა წყნარათ იყავი და მე კი რძის ტაფის მოგრდულებ.

— ბიძია ტრუ გიცნობსთ თქვენ? დაეკითხა გერტი რამდენსა-მე ხანს შემჩერებ.

— როგორ არ მაცნობს! მე აქვე გვერდითა უცხოვრებ; როდე-საც ბიძია მიდის, მის მაგიერ მე გივლი ხოლმე.

— რა გულკეთილი ყოფილხართ! წარმოთქვა გერტიმ და სულ-ლივანს შეაჩერდა, — მერე რატომ აქამდის ვერ დაგინახეთ?

— შენ ძალიან ავათ იყავი; გონება აღარ გქონდა და ვიღას დაინახავდი! ახლა კი, იმედია, მალე მორჩები.

გერტი გაჩუმდა და საკერავს თვალიერება დაუწყო.

— იცი, რასა ვკერავ? დაეცითხა სულლივანი.

— არა, უპასუხა გერტიმ.

— სულლივანმა აჩვენა პატარა კაბა, რომელსაც ჰქონდა.

— რა კარგი კაბა! წამოიძახა გერტიმ, — ალბათ თქვენ ქალს უკერავთ.

— არა, მე ქალი არა მყავს, ერთი ვაჟის მეტი არა გამაჩინიარა. ვილლი ჰქონიან სახელათ.

„ნეტაი მას, ვისაც დედა ჰყავს!“ იფიქრა გერტიმ და თავი ჩალუნა.

— პატარა რომ კიდევ წაიძინებდე, კარგს იზამ, უთხრა სულ-ლივანმა, რადგანაც შენიშნა, რომ გერტი ლაპარაკმა დაღალა.

ბავშვი თვალები დახუჭა, მაგრამ დაძინებით კი ვერ დაიძინა. მალე კარი გაიღო და ოთახში ტრუმანი შემოვიდა.

— თქვენც აქა ხართ? მიუბრუნდა ის სულლივანს, — ძალიან უმადლობთ, რომ ჩემ გოგოს ყურს უგდებთ. როგორ არის?

— უკეთობა ეტყობა, მიუკო სულლივანმა, — დიჭხანს ეძინა და, რომ გამოილება, კარგ გუნდებაზე იყო. მეონია, ახლა აღარა უჭირსრა, ამდროს გერტიმაც თვალები გამოაჭირტა.

ტრუმანი მიეცა მასთან, მიუალერსა, შუბლი გაუშინჯა, ცხე-ლი ხომ არა აქვსო და კმაყოფილი დარჩა.

— მადლობა ღმერთს! თქვა მან და გერტის აკოცა.

— კაბა კი მალე დასჭირდება, ვიღრე ჩვენ გვევინა, — განავრძო მან და სულლივანს შეაჩერდა.

— მეც აგრე მეონია, — უპასუხა დედაკაცმა, — მაგრამ ჯერ კიდევ რომ იწვეს, ის ჯობია; სიფრთხილეს თავი არ ასტევა. ნახეთ დღეს გრევამი?

— ენახე. რა ანგელოზი აჩსება ყოფილა! ყოველისუერი გამო-

მკითხა გერტის შესახებ. წამლებსა და საჭმელებს დაპირიდა: იმის-  
თანა წამალს მოგცემთ, რომ ორ დღეში სულ გამომთელდესო.

გერტი ამას შემდეგ თან-და-თან უკეთ და უკეთ შეიქნა. გულ-  
კეთილი სულლივანი ხშირათ შემოდიოდა ხოლმე მასთან თავის  
საკერავით. გერტის ის ძალიან შეუყვარდა.

— ერთხელ, როდესაც ტრუმანი სახლში იყო, გერტი მიუბ-  
რუნდა მას და ჰქითხა:

— ბიძა ტრუ, სულლივანი კაბას ვის უკერავს?

— ერთ გოგოს, რომელსაც კაბა არა აქვს, უპასუხა ბიძა-  
ტრუმ,— აბა თუ გამოიცნობ, ვინ არის ის გოგო?

— მგონია, მე უნდა ვიყო, წარმოთქვა გერტიმ და მოხუც  
შეაჩერდა.

— ვერ გამოიცანი! აგრე ჰქითხე სულლივანს, შენთვის შეიწუ-  
ხებს თავს. ამ სიტყვებზე მოხუცმა ჩაიკრა გულში პატარა ბავში და-  
განაგრძო: — რასაკვირველია, შენთვის ჰქერავს, ჩემო გერტი! იმას-  
ფესაცმელები და წინდებიც თან მაჲყენდა.

გერტიმ გაოცებისაგან თვალები დაჭუიტა:

— ნუ თუ ყველაფერი სულლივანმა მიყიდა? რა კეთილი ქა-  
ლი ყოფილა?

— არა, ჩემო გერიცო, იმას ვინ მისცა ფულები, ლარიბია. ერ-  
თი ახალგაზდა ქალია, ემილია გრეგამი; ყოველისფერი იმან გიყიდა.  
იმისთანა გულ-კეთილი აღამიანი ქვეყანაზე ბერი არ მეგულება.  
შენ თეითან გაიცნობ მას ოდესმე; ახლა კი დროა, დაიძინო.

V.

ერთ წეიმიან დღეს სრულიად მორჩენლი გერტი ფანჯარას-  
თან იჯდა. ახალი კაბა ეცვა, თმა წმინდათ ჰქონდა დავარცხილი;  
წინანდელსა და ახლანდელ გერტის შუა დიდი განსხვავება იყო.

ექვე დიდი კატა იჯდა, რომელსაც გერტი ესიყვარულებოდა. კატაც გერტის სიამოვნებით უკრუტუნებდა; ეს იმ საბრალო კნუტის დედა იყო, რომელიც ცხელ წყალში ამოიფუფქა. მალე ბიძა ტრუკ მოვიდა და, რა თავისი გერტი ახალ ტანისამოსში გამოწყობილი დაინახა, ძალიან გაეხარდა:

— აი ახლა კარგი გოგო ხარ. ვინ ჩაგაცეა და დაგვარცხნა აგრე კარგათ?

— სულლივანმა, უპასუხა გერტიმ,— აბა ოთახი დაათვალიერეთ! ამ სიტვებზე მან წაავლო მოხუცს ხელი და მთელი ოთახი დაატარა.

— აი აქ საკეცე ეგდო ხოლმე, ერთხელ შენ ფეხიც კი წამოკარი, უამბობდა გერტი, — აქ კიდევ ტახტი იდგა გლახათ, აქ ტანისამოსი უთავებოლოთ ეყარა, ბუხარი გასერილა იყო. ახლა კი, უყურე, ყოველისფერი მილაგებულია, ბუხარიც სუჟთა არის. ყველა ეს სულლივანმა მასწავლა!

გერტი ისეთის აღტაცებით უყურებდა ყოველივე ამას, თითქოს დიდი რამ მომხარიყოს. ტრუმანიც ხედავდა, რომ ოთახში მართლა წეს რიგი და სისუფთავე სუფევდა და ძალიან კმაყოფილი და მოხარული იყო.

დილას, როდესაც მოხუცი თავის საქმეზე წავიდა, გერტიმ სულლივანთან გასწია.

— უჰ, რამხელა ოთახი გქონიათ! წამოიძახა მან შესელისათანავე.

— თქვენ ითახზე მეტი არ არის, მიუკო სულლივანმა, მაგრამ ყოველივე თავ-თავის ალაგას არის მილაგებული და ამიტომ დიდათ გზებინება. შენც უნდა ისწავლო, ჩემო გერტი, ხელ-საქმე, ოთახის მილაგება. ცოდნა ყოველთვის გამოვადგება, უვაცი ადამიანი არსად არ ვარგა.

— ოლონდ მასწავლე, ჩემო დეიდა, და ყოველისფერს გავაკეთებ. მე ჯერ არაფერი არ ვიცი. ამ სიტყვებით გერტი მოეხეია სულ-

ლიენს, რომელიც დაპირდა, შენ მხოლოთ მოინდომე და ყოველისფერს გასწავლით.

მეორე დღეს სულლიერმა და გერტიმ გამოალაგეს ყოველისფერი ოთახიდან, მოიტანეს წყალი და დაუწყეს ოთახს წმენდა და რეცხა. გერტი თუმცა ძალიან დაიღალა, მაგრამ ყოველისფერს დიდის ხალისითა და სამოუწებით აკეთებდა. როდესაც ოთახი ისევ მიალაგ-მოალაგეს, შიგ შესელა გიამებოდათ. გერტი ძალიან მოხარული იყო, რადგანაც დღეს ბევრი საქმე გააკეთა.

— ახლა, ჩემო დეიდა, ჩაის აღულება და კვერცხის მოწვა მასწავლე; ბიძიას ძალიან უყვარს. სულლიერმა ჩაი გააკეთებია, კვერცხიც მარწევინა, ყოველივე ეს მაგიდაზე დაგმევინა და თეითონ სახლში წაეიდა.

— ბარაქალა, ჩემო გოვონა! ეალერსებოდა გერტის გახარებული ტრუ, როდესაც სახლში დაბრუნდა, ახლა აღარა გვიჭირს-რა. დღეისთანა მხიარული ჯერ გერტი არ ყოფილა. სანამ ბიძა ტრუ და გერტი ჩაისა და კვერცხს შეექცეოდენ, კარებზე ვიღამაც დაარაკუნა.

— შემობრძანდით, დაიძახა ტრუმანმა.

— გამოკრული ცხეირსახოცი მოვიტანეთ, ჩვენსა რომ დაგრა-ჩათ, წარმოთქეა შემოსულმა ყმაწვილმა. ეს გახლდათ სულლიერის შეილი ვიღლლი.

— დიდი მადლობელი ვარ, ჩემო ვიღლლი!

— ვიღლლი, ჩაი დალიე? დაუბახა ამ დროს დედამ მეორე ოთახიდან.

— აქ დარჩი, ვიღლლი, მიუბრუნდა ტრუმანი, — ჩვენი გერტის გაკეთებული ჩაი და მომწვარი კვერცხი ნახე, როგორია.

— დედა ჩემო, მე აქ დაელევ ჩაის, დაუბახა დედას ვიღლლიმ.

გერტი და ვიღლლი ერთმანეთს დაუახლოედდენ; ჯერ მას გერტი ეჭვიანის თეალით უყურებდა, რადგანაც ევონა, ესეც სხვა ყმაწ-

ვილებიერი ბოროტი იქნებაო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ვილ-  
ლი სხვა ბაჟშებურით მას წევალებას არ დაუწყებდა.

— გერტი, მოდი ენახოთ, რა არის ამ ცხვირსახოცში, მიუ-  
ბრუნდა მას ვილლი. გახსნეს ხელცახოცი და გამოიღეს ფაიფურის  
ცოცვი, გერტის ცოცვი არასოდეს არ ენახა და ტრუს მიმართა:

— ბიძია ტრუ, ეს რა არის?



— ცოცვია, მიუკო ვილლიმ ტრუმანის მაგიერ,— რომ  
გაზაფხულდება, ქალაქს გარეთ წავიდეთ და იქ ამისთა-  
ნებს ბევრს ნახავ ტყეში. კუთხი გრძელი აქვთ და ბან-  
ჯველიანი; ერთი ხიდან-მეორეზე ისე დახტან, თით-  
ქოს ფრინავენო.


— წერა-კითხა იცი, გერტი? დაეკითხა ბოლოს ვილლი.

— არა, უპასუხა გერტიმ,— ჯერ არაფერი არ ვიცი, მხოლოთ  
დღეს ვისწავლე ცოტა რჩეს გაკეთება, დედა შენმა მასწავლა. ამ  
სატყეებზე გერტის სიამოენებისაგან სახე გაუბრწყინდა.

ვილლი უკვე ცამეტი წლისა იყო. პირველ დაწყებითი სასწავ-  
ლებელი გაათავა და კიდევ უნდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ  
ჰედავდა, რომ დედა მისი სილარიბისაგან დიდ გაჭირვებაში იყო,  
ამიტომ ჯერ-ჯერობით აფთიაქში შევიდა, რომ დედას ცოტათი  
მაინც დახმარებოდა და სწავლის გაგრძელებას შემდევ პირებდა. თა-  
ვისუფალ დროს სულ წიგნებს კითხულობდა და სწავლობდა. სანამ  
ისინი ჩაის შეექცევდენ, გერტიმ ვილლის უამბო, თუ როგორ  
ცხოვრებდა წინეთ, როგორ გაიცნო ბიძია ტრუ და წამოჰყეა მას.  
ნანგრენტის მოგონებაზე გერტის თვალები სიბრაზით აენთო. ბიძია  
ტრუმ ეს კარგათ შენიშნა და გულში ღმერთს შეევედრა, ღმერთი  
შენ მომენტარე რომ ეს პატარა ბავში გულ-კეთილი გამოვადესო.


განო.

(შემდეგი იქნება)



## მერცხლების გუდე.

(ფრანგულიდან)



პატარა ანიკო ჰირველათ  
იუო ხაფხულში სოფელში თა-  
ვის დედასთან.

ერთხელ მან დაინახა ორი მერცხსალი, რომლებიც  
ოთახის ღია კარგბზე გადმომსხდარიუენ და საამურათ  
ეღურტულებდენ. იქავ, ოთახის კუთხეში ნახევრამდის ამენე-  
ბული ტალახის ბუდე იუო. ანიკოს დეიდა დარიას თავის  
ძვირფასი სტუმრების დანახვა არ შეეძლო, რაღაც ბრძა-  
ნი, მაგრამ მათ ტკბილ ჭიკჭიკზე იცნობდა სახლე და  
დიდათ უმაღლიდა, რომ მისი სახლი გაიხსენეს და ბუდის  
გასაკეთებლათ მონახეს. დარია უველა თვის სახლში მეოფა-  
ესვეწებოდა, მერცხლების ბუდისათვის თვალური ეგდოთ,  
არა ევნოთორა და ამ სტუმრებისათვის სრული თავისუფ-  
ლება მიეცათ. გულკეთილი ქალის გაჯავრება არავის არ  
უნდოდა, მისი პატარა დისტული ხომ უველაზე უფრო ცდი-  
ლობდა, რომ დეიდასათვის არაფერი ეწენინებია და უო-  
ველივე მისი სიტყვა აესრულებინა. მაგრამ პატარა ანი-  
კოს ერთი ცუდი ზე ჭირდა: გადამეტებული ცნობის

შოუგარე იუ. ამგვარი სასიათის წეალობით მას ბევრ-  
 ჯელ დაურღვევია სხვისი დარიგება, ბევრი მწუხარებაც  
 გამოუვლია, მაგრამ ეს ცუდი ზე გერაფერმა ვერ  
 შოაძლევინა. მის უურადღებას ნამეტნავათ მერცხლების  
 ცქვიტი მოქმედება და მარტი მომრაობა იზიდავდენ. შვე-  
 ნიერი მაისი იდგა; კვერცხების გამოჩევის საქმე ერთობ  
 კარგათ მიდიოდა. მალე ბუზიდან ოთხშა პატარა ბარტემა  
 გადმოუთ თავი; სულ პირს აღებდენ, ხეანხვალებდენ და  
 თავთავის ულუფას ელოდებოდენ; საჭმელიც ბლომათა ჭქონ-  
 დათ. წამდაუწუმ დედასა და მამას, რიგრიგათ, მოჭქონდათ  
 საჭმელი თავის პატარა ღორმუცელებისათვის. დარია მა-  
 ლიან უფოთხილდებოდა მერცხლებს და თავის, პატარა  
 გულმავიწე დისწულსაც აფრთხილებდა. უოველ საღამოზე,  
 როდესაც მერცხლები დაბინავდებოდენ, მაგრათ და ფრთხი-  
 ლათ დაჭირავდენ ხოლმე კარებს, რომ მეზობლიანთ კა-  
 ტა ქურდულათ არ შემოპარულიუთ და სისაძაგლე რამ არ  
 ჩაედინა. გათენებისას კარებს ისევ გააღებდენ, რომ მერ-  
 ცხლებს თავისუფლათ ფრენა შეძლებოდათ. ისინიც თავი-  
 სი მხიარული ჭიქჭიკით იქაურობას გააცოცხლებდენ და  
 ფეხზე დაუეწებდენ ხოლმე.

— უჭი, დეიდაჩემო, ამბობდა პატარა ქალი, — რა კარგი  
 რამ არიან ეს მერცხლები! უფრო ახლოს გაშინ ჯვა რომ  
 შემეძლოს, მალიან გამეხარდებოდა. ნება მიბომეთ, კიბე  
 შიგადგა და ბუდეში ჩავისედო!

— არა, ჩემთ დეიდა, უპასუხებდა დარია: — ნებას ვერ მოგცემ, ერთი რომ, ძეიძლება, იწეონო რამე, მეორე — პატარა ბარტეები და ჯთხებიან და არ მანდა, რომ ისინი შეძრულს ვინმემ.

— ანიკო დამორჩილდა, ამ მხრივ ის ერთობ კარგი ხასიათისა იყო, მაგრამ მისი ცნობის მოუკარეობა ხომ ჯაუკმაური და დაუკარებელი დარჩა! მან იცოდა, რომ პატარა ბარტეები ჯერ შეუმოსელი იყენ; მალიან უნდოდა, კარგათ გაეძინვა და დაეთვალიერებინა ის წერილი ქინქლი, რომელიც ფრინველებს სუსტ ტანს უფარავდა. ანიკო მწარეთ ამოიხვენ შებდა ხოლმე და თავის სურვილს ეწინააღმდეგ გებოდა... უკრათ ჭაერი შეიცვალა, თიბათვის პირველ რიცხვებში აცივდა. პატარა ტიტველი ფრინვლები საშიშ მდგომარეობაში ჩავარდენ. დედალ-მამალი მერცხლები ბუდეს ადარ შორდებოდენ, რადგანაც ბარტეებს სიცივისაგან იფარავდენ, მაგრამ ბარტეებს ჭმევა უნდოდათ; დედმა-მას მალა უნებურათ საკენკი უნდა ემოვნათ და მოეტანათ. როდესაც მერცხლები გაფრინდებოდენ ხოლმე, საცოდავი ბარტეები სიცივისაგან ცახცახსა და წრიბინს იწეებდენ. ანიკო თან-და-თან მოთმინებას ჭკარგავდა; ტიტველი თავები საცოდავთ გადმოიურებოდენ ბუდიდან და ეს უთუ-თქავდა მას გულს.

— საბრალო ჩიტუნიები! ამბობდა ანიკო თავის გულში, — მათ მალიანა ცივაც. მოდი, ცოტაოდენ ბამბას ან

მატელს მოვუტან, ჰაგარის მაინც დაათბობს და ასე ცახა-  
ცას აღარ დაიწევებენ?

გაურბინა თუ არა ანიკოს ამ გვარმა აზრმა თავში,  
მან იფიქრა, ბარებ ახლავე რომ ავასრულო ისა ჯობიაო,  
დეიდას დაშლასა და დარიგებას უური აღარ ათხოვა, ისარ-  
გებლა იძღროთ, როცა დარია ნასაღილევს დაიმინებდა  
ხოლმე, მოიგანა ჰაგარა კიბე და, გაფრინდენ თუ არა  
საკენჭისათვის მერცხლები, მიაუღდა კედელზე, ავიდა ზედ  
მარდათ და ბუდეს შინჯვა დაუწეო.

ამ უცნაური სტუმრის მოულოდნელმა დანახვამ ჰაგა-  
რა მერცხლები მალიან შეაშინა. ერთმა მათგანმა გაფრენა  
დააპირა, მაგრამ საცოდავს მირს ტეატა გახდა. ეშმაკათ  
თურმე კუნჭულიდან კატა არ უთვალ-თვალებდა ჩუმჩუმათ!  
მივარდა საბრალო ჩიტუნიას და პირი დასტაცა. დედალ-  
მამალი მერცხლები სწორეთ ამღროს მოფრინდენ; თავის



საუარელი ბარტყებისათვის ნისკარტით გემრიელი საჭმე-  
ლი მოქონდათ. წარმოიდგინეთ მათი უბედურება, როდე-  
საც უველავე სუსტი თავისი ბარტყი მტრის კლანჭებში  
დაინახეს!

ჭეუა დაბნეულმა დედამ ჩსხვილი მორთო, მაგრამ საქმე ამ ერთი მსხვერპლით რომ გათავებულიერ, კიდევ კარგი. უბედულმა დედამ თავის მოქმედებით მხოლოდ კატის უურადღება მიიჩურო; კატა თან საბრალო ბარტეს ახრამუნებდა, თან მერცხალს მისჩერებოდა, ამას რომ გაგათავებ, მერე შენ გეწვევიო.

გამწარებული მერცხალი ოთახში შეფრინდა, თითქო იქ ელოდა ხსნას, კატასაც ეს უნდოდა; შეჭეკა მერცხალს ოთახში და დაუწეო დევნა. კატის ფხაკურმა და მერცხალის ფთხრიალმა დარია გამოაღვიძა; მან მეისვე ჰატარა დისტულს დაუწეო ძახილი. ანიკო თავის ურჩობის შედეგმა მაღარან შეაშინა, ბაზის შუაგულისაკენ მოჰყურცხლა და ამიტომ დეიდას ძახილი არ ესმოდა. საწეალ მოსუცებულს არავინ არ მიემველა. მას თან გული მოსდიოდა, თან თავისი საუჯარელი მერცხლის საცოდავობით იწოდა. საბრალო მერცხალი ბევრი ეხეთქა დაკეტილ ფანჯრების შემებს, მაგრამ ტუშილათ: ვერც გატესა, გონებაც იმდენათ დაებნა, რომ კარებში გამოფრენა ვეღარ მოიფიქრა, მოიქაცა და კატის მსხვერპლი გახდა. ამას შემდეგ სიჩუმე ჩამოეარდა; დარია მიხვდა, საქმე რითიც გათავდა და თვალებზე მწუხარების ცრემლები გადმოცვავდა.

ჰატარა ანიკო გამოჩენას ვეღარ ჰქონდავდა. ბოლოს იფიქრა, რომ დავიძალო და დიდხანს აღარ გამოვჩნდე ჩემ

შეცდომას ამით უფრო გავაორკეცებო და მოკრძალებით გამოსწია დეიდა დარიასაკენ.

— ჩემო დეიდა, მაპატივე, მალიან შეცდი, რომ თქვენი ბომანება არ ავასრულე, ახლა მალიანა ვწუხვარ! და-იმასა მან და მორთო ტირილი.

— როგორ? ნუ თუ მერცხლები შენ ააფორიაქე? და-კითხა დეიდა წენარის ხმით: — მალიან ცუდი საქმე ჩაგი-დენია, ჩემო ზატარა ანიკო! აბა ჩაუფიქრდი, რამდენი უბედურება დაატეხა თავზე შენმა მოუფიქრებელმა საქცი-ელმა იმ ბუდეს, რომელიც მე ასე მალიან მიუვარდა?

ანიკოს ამ სიტყვებზე უფრო აუჩუედა გული; დაიხო-ქა წენარათ დეიდას წინ და შეეხვეწა:


— ჩემო ძვირფასო დეიდა, ღღევანდელმა ჩემმა საქცი-ელმა იმდენათ შემაწუხა, რომ გეფიცებით, ამას შემდეგ თქვენი მორჩილი ვიუო და, რასაც მიბომანებთ, უოველის-ფერი ავასრულო. ეს შემთხვევა კი არაოდეს აღარ დამა-ვიწერება.

მერცხლისა, რამდენიმე ბარტეი კიდევ გადარჩა, იმათ მამა უვლიდა; ხან სიცივისაგან იფარავდა, ხან საკენკს უზიდავ-და. მამის ამგვარი მოვლის წეალობით მერცხლები გა-მობრუნდენ და მალე წამოიზარდენ. მამალი მერცხალი თავის ამხანაგის დაღუპვამ მალიან დააღონა, მაგრამ ის თავის საბორალო ობლების ზრდით ირთობდა და ინუგე-შებდა თავს.

ჰატარა მერცხლების ფთხრიალი და ჭულობინი მო-  
ხუც დარიას კულს უმხიარულებდენ.


ანიკომაც თავისი სიტყვა აასრულა, მისი სინანუ-  
ლი იმდენათ წრფელი იქო, რომ თავისი ხასიათი მან  
მალე გაისწორა და მეტისმეტ ცნობის მოეგარეობას არა-  
ოდეს აღარ ემორჩილებოდა.

ვანო.



## თიკანი და მგელი.

(ეზოპიდან)



როთ ცანცარია თიკანი  
დახტოდა სახლის ბანზედა  
და თავ მომწონეთ, უოუაჩათ,  
იცქირებოდა განზედა.

ამღროს ქუჩაში მორბოდა  
მგელი, თიკნების მტერია,  
შიმშილისაგან საბრალოს  
მთლათ დაჭეკარგოდა ფერია.

თიკანმა რა ეს შენიშნა,  
გულში გაიღლო აზრათა:  
„მოდი ლაპაზათ შევამკობ  
და გამოვლანმდავ მაგრათა;  
აქ უშიშრათ ვარ, მაღლობზე,  
მგელი ვერ ამომწვდებაო,  
და მისი კარგათ შემკობა  
გულს წამლათ დამედებაო“.


მართლაც უშევერათ ღანძღავდა,  
 სიცილს აურიდა თავზედა.  
 მგელი მობრუნდა და ღიმით  
 უთხრა ამ სანახავზედა:

„აბა რა გითხრა, ძამიავ,  
 შემთხვევამ მოგალხინაო,  
 შენ ვერ მეტეოდი მაგ სიტყვებს  
 თუ არ ეგ მევიდრი ბინაო“...

ბ. დავითაშვილი.



## პატარა ლორდის თავ-გადასავალი.



### VI.

ეიძღება, ახლა „ძეირფასთან“ წავიდე? — ჰკითხა გრაფს აწითლებულმა ბავშვა. — უთუოთ მიცდის!

— კარგი, ახლავე კუბრძანებ, რომ ეტლი შეაბან. მიუგო გრაფმა, მერე ცივათ-დაუმატა: — მე მინდოდა შენოვის ერთი პატარა ცხენი მეჩვენებინა.

— პატარა ცხენი? ეისია? — წამოიძახა. ცელიკემა.

— შენი.

— ჩემი? ჩემი! ისე იქნება ჩემი, როგორც ყველა ის სათამა-შოები?

— სწორეთ ისე. გინდა, განახო?

ბავში სულ უფრო და უფრო წითლდებოდა.

— არაოდეს არ მეგონა, თუ ცხენი, ნამდეილი ცხენი მეყოლე-ბოდა! რა იამება „ძეირფასს“! რამდენი რამე მაჩუქეთ?

— ჲა, თქვი, გინდა, განახო ცხენი?

პატარა ლორდმა ამოიხნეოშა.

— მინდა ენახო, მაგრამ ახლა არა მცალიან, ახლა...

— დედასთან წასელა ნასაღილეესაც შეგიძლია, აგრე რათ გეჩე-რება?

— არა, არა! — მიუგო პატარა ვაჭმა. — ის უთუოთ მთელი დი-ლა მიმელოდა, მეც მთელი დილა იმაზე ვფიქრობდი.

— ჰე! — ჩახველა გრაფშა. — აბა, დარეკე, უბძანე ეტლი შეაბან.

ბაბუა და შვილი-შვილი ერთათ ჩასხდენ ეტლში. გრაფი არას ამბობდა, ცელრიკს კი ერთ წამსაც არ მოუსვენებია თავისი ენა, სულ ჩატვირთვის ბაბუას: ჩამხელაა ჩემი ცხენი, რა ფერია, რამ სიმაღლეა...

— რა იამება „ძეირფასს“, რა დაგრმადლებსთ! — იძახოდა ის სიხარულით. — „ძეირფასმა“ კარგათ იცის, როგორ მიუვარს ცხენები, მაგრამ არაოდეს არ გვეკონა, თუ ყიდვას შევიძლებდით...

ცელრიკი ეტლში გადაწყვა და რამდენსამე ხანს ჩუმათ მიჩეკრებოდა გრაფს.

— მე მკონია, — დაიწყო მან ბოლოს, — რომ თქვენ მთელ ქვეყანაზე საუკეთესო კაცი ხართ! სიკეთის მეტს არას შერებით და სულ სხვებზე ფიქრობთ. „ძეირფასმა“ თქვა, ნამდეილი გულ კეთილობა ის არის, კაცი რომ სულ სხვაზე ფიქრობს ხოლმეო. თქვენ ამისთანა გულ კეთილი ხართ, არა?

გრაფი ისე გააკერძა მისი ხასიათის ამნაირმა დაფასებაში, რომ სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა, ბავრი კი არ აშორებდა მას თავის დიდ, უმანკო თვალებს.

— რამდენი ადამიანი გააბედნიერეთ! — განაგრძო მან. მიქელი, ბრიჯეტი და მათი ათი შვილი, ვაჭარი ქალი, დიკი, ხიჯინსი, მისი ცოლი, მისი შეილები, მისი ტერ გობი, მღვდელი მორდაუნტი... „ძეირფასიც“ ხომ გააბედნიერეთ, მე რომ ცხენი და იმდენი სათამაშოები მაჩუქეთ... აი, თათქმაზე დავთვალე და ოც-და-შვიდი კაცი გამოვიდა! ოცდა შვიდი კაცი გააბედნიერეთ, ცოტაა?

— მერე მე გავაბედნიერე ყველა ეგენი?

— დიახაც თქვენ! იცით, როცა ადამიანი გრაფს ვერ იცნობს, ძალიან შემცდარ აზრს შეადგენს ხოლმე მასზე. აი, მაგალითათ, მისტერ გობი... უსათუოთ უნდა მივწერო წერილი და ყველაფერი ვუამბო.

— რა უნდა უამბო, რას მისწერ?

— მივწერ, რომ თქვენ ქვეყანაზე საუკეთესო კაცი ხართ! —  
აღტაცებით დაიწყო ბავშვია, — რომ ყოველთვის სხვებზე ზრუნავთ,  
უველას აბედნიერებთ, უველასთვის სიკეთე გსურთ... მივწერ კაცევ.  
რომ გაფიზდები, მეც უსაოურო ბაბუასთანა კაცი გამოვალთქო.

— ჩემისთანა! — გაიმეორა გრაფია, მიაჩერდა ცედრიკის უმანკა  
სახეს და სახეზე სიწითლე მოერია.

— ჰო, თქვენისთანა! — გაიმეორა ბავშვაც. — თუ კი შევიძლებ,  
რომ თქვენ მოგბაძოთ, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ვეცდები...

ეტლი ნელა მიგოგავდა ხეივანში. ცელრიკმა ისევ დაინახა ყვე-  
ლა ის შეენიერი აღილება, რომლებმაც გუშინ მოპიპლეს, დაინა-  
ხა ფერად-ფერადი უვაილები, მაღალი მცენარეები, ლამაზი, დიდი,  
შეშინებულ თვალებიანი შველება, დაინახა გარეული ქათმებიც და  
უველაფერი გუშანდელზე კიდევ უფრო მოეწონა. მისი გული აესი-  
ლი იყო სიხარულით და ბედნიერებით.

მოხუცი გრაფი კი ვერაფერს ხედავდა, ის სულ თავის ფიქრებს  
მისცემოდა; გაახსენდა მთელი თავისი სიცოცხლე, რომელსაც მარტო  
თავის სასიამაგროთ და თავის სასარგებლოთ ატარებდა; აი, ახლა  
მოხუცა, დაუძლურდა, და მარტო, სულ გარტო დარჩა; უველას  
უშინია მისი, უველას ძულს იგი, უველა ერიზება. აქამდის თით-  
ქმის ეერც კი ამჩნევდა უველა ამას, მხოლოთ ახლა უმანკა ბავ-  
შის გულუბრყვილო შეჩიშეჩამ აკრძობანა თვისი მდგომარეობა,  
გაუღვიძა მიძინებული სეინიდისი...

ეტლი კორტ-ლოჯოს ჭიშკართან გაჩერდა. ცედრიკი მაშინვე  
გადმოხტა, როგორც კი მსახურმა კარები გააღო.

გრაფი გამოფხიზლდა თავის ფიქრებისაგან.

— მოვედით? — იკითხა მან.

— დიახ! — უპასუხა ცედრიკმა. — მომეცით ჯოხი და დამებჯინეთ,  
გადმოსელაზე დაგეხმარებით.

— მე არ გადმოვალ! — უვაკ მიუგო გრაფი.



— ହୋଇଲା? „ଦେଇରତ୍ନାଶ“ ଏବଂ ନାହାଏଟ? — ଗାସିରୁଣ୍ୟେବିତ ବ୍ୟାମନ୍ଦରାଜା  
ପାତ୍ରାରୀ ଲୋକରତ୍ନମା।

— „ମେଧିଳା, „ଦେଇରତ୍ନାଶ“ ମନମିତ୍ରୀଣ୍ୟେବିତ ଏଥି ଉଚ୍ଛରଣ୍ୟେଲାବାସ, ମନ୍ଦୁଗୁଣ  
ଗ୍ରହାତ୍ମି। — ଉତ୍ତବ୍ଦାରୀ, ଐସେ ମେହିକାର୍ଯ୍ୟେବିତ ଶ୍ରେଣୀ ନାହେବା, ହରାମ ପ୍ରେଣ୍ଟିପ୍ ଏବଂ  
ଗମିନ୍ସେନ୍ୟେବିତାତକ୍ଷଣ।

— „ଦେଇରତ୍ନାଶ“ ମାଲିନୀ ଗ୍ରୂପିନ୍ଦା... ଐସେ ଖଣ୍ଡମାନା ତକ୍ଷେଣି ନାହେବା?  
— ମେହିକାର୍ଯ୍ୟେବିତ ତକ୍ଷେଣି ଦ୍ୱାରା ଦ୍ୱାରା!

— ଏହା ମେହିନୀକା! ସାଲାମିନ୍ଦ୍ରିୟ ପ୍ରତିଲିପି ଗମନଗିର୍ଭାବେନି। ମେହିକା ଗ୍ରହାତ୍ମି  
ମେହିକାର୍ଯ୍ୟେବିତ ଦ୍ୱାରା: ଗାସିରିବା!

ଗାସିରୁଣ୍ୟେବିତ ପାତ୍ରାରୀ ଲୋକରତ୍ନ ଏହି ଚିତ୍ର ଅଭିନନ୍ଦିତ ଏବଂ  
ଦ୍ୱାରା ମେହିକା କି ଶ୍ରେଣୀଭୁଲିଯାଇବିତ ଗାତ୍ରକାର୍ଯ୍ୟ ଶ୍ରେଣୀବିଶ୍ଵାକ୍ୟେନ୍ଦ୍ରିୟରେ  
ଏତୀଳି ନେଇଲା ମିଳିବିବାରେ; ଗ୍ରହାତ୍ମି ଯାନ୍ତ୍ରଜାରୀଶି ଗାତ୍ରମାନିକ୍ୟେତ୍ରାଦା ଲାଭିବାରେ  
ଏହି ହୋଇଲା ମିଳିବିବାରେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଶରୀରରେ ଲାଭିବାରେ ଦ୍ୱାରା ଶାକିଲିବା  
ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଗାତ୍ରମାନିକ୍ୟେ କିମ୍ବା କିମ୍ବା ଏହିକାର୍ଯ୍ୟ କିମ୍ବା ଏହିକାର୍ଯ୍ୟ କିମ୍ବା  
ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ

## VII.

ସାହୁ ରାମ ଶିଳ୍ପୀ

କ୍ଷେତ୍ରକାରୀ ଦ୍ୱାରା ପାତ୍ରାରୀ ମନ୍ଦିରରେ ଆହୁରେବା କାଳକାରୀ ମନ୍ଦିରରେ  
ଏହିକାର୍ଯ୍ୟ କାଳକାରୀ ମନ୍ଦିରରେ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ କାଳକାରୀ ମନ୍ଦିରରେ  
ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ ଏହିକାର୍ଯ୍ୟ

კი მის პატარა დუქანში შეეიღოდა; ბევრიც, მართლა მარტო იმიტომ შედიოდა, რომ ეს საკვირველი ამბები მოესმინა; ყველას უკვირდა, რამ გამოცვალა მოხუცი გრაფი, რომ ბავშვს ასე ექცევაო, უკვირდათ, რო ბავში ყელამდის აუცისა საჩუქრებითო.

— ყველაზე საკვირველი ის არის,— დაათავებდა ხოლმე ვაჭარი ქალი,— რომ ბავშს არაფრისა ეშინია და ისე ესაუბრება ხოლმე გრაფს, თითქო მისი გულითადი მეგობარი იყოს. მსახურებს ძალიან ეშინოდათ, როცა გრაფმა ბრძანა, ბავში მარტო შამოუშეით ჩემ ოთახშიო, ერთ იცის, რას აპირებსო, ფიქრობდენ ტომსი და ჯონი გულის ფანცქალით, მაგრამ გრაფი ისე მოჰქიბლა შეენიერმა ვაჭმა, რომ ხმა ვეღარ ამოილო და თვალიც კი ვეღარ მოაშორა.

ხიჯინსის ამბავიც მალე გავრცელდა ხალხში; მღვდელმა თავის ცოლს უაშო, ამას მოსამსახურე გოგომ მოჰქმა უური, გადასცა ყველას სამზარეულოში, იქიდან კი მთელ არე მარეს მოედა; ხიჯინს მერე ფეხის გადადგმაც აღარ შეეძლო, ყველა გზაზე უტვრებოდა და დაწერილებით გამოჰკითხავდა ხოლმე თავგადასავალს. აღარც მოურავ ნევიკს ჰქონდა მოსვენება, ხან-და-ხან, რომ ვეღარაფრით მოიშორებდა გარს შემოხევულ ხალხს, ფაუნტელროის ხელ მოწერილს წერილსაც კი აჩვენებდა. აი, ამიტომაც მოხდა, რომ კვირას ეკვლესია მთლათ გატენილი იყო ხალხით, ყველას ენატრებოდა, გრაფის პატარა მემკვიდრე თავის თვალით ენახა.

გრაფი საზოგადოთ საყდარში არ დაიარებოდა, მაგრამ დღეს გადაწყვეტა წასულიყო, უნდოდა პატარა ლორდთან ერთათ დანახვებოდა ყველას. საყდრის წირ, მოედაზე, მოყარათ თავი ხალხს და მოუთმენლათ მოელოდენ: როდის გამოჩნდება გრაფ დორინ-კორტის დიდებული ეტლით.

— აი, ეს უთუოთ პატარა ლორდის დედა იქნება! — წამოიძახა ამ დროს ერთმა მოხუცმა ქალმა. ყველამ მოიხედა; ვიწრო ბილიკზე ჩეარი ნაბიჯით მოღიოდა ახალგაზდა, შავებში გამოწყობილი ქალი; პირბადე ახდილი ჰქონდა და ყველას შეეძლო დამტკბარიყო.

მისი შენიერი სახის და ხუჭუჭი თმის ყურებით. ის არაეითარ ყუ-  
რადლებას არ აქცევდა აჩავის და დაფიქრებით მოდიოდა: თავის პა-  
ტარა შეიღწე, ცედრიკზე ფიქრობდა და სიხარულით იგონებდა, რა  
ყოჩალათ იჯდა გუშინ პატარა ლორდი თავის პატარა ცხენზე. მო-  
ხუცი ქალი, რომელმაც პირველათ შენიშვნა მომავალი ახალგაზდა  
დედა, მიუახლოედა მას, დაუკრა თავი და პატარისცემით უთხრა:  
„ღმერთმა დაგლოცოსთო!“ ჩის მაგალითს სხვებმაც ჩიჰბაძეს, კა-  
ცებმა ქუდები მოიხადეს; ახალგაზდა ქერიეს შერცხვა, გაწითლდა,  
მაგრამ მაშინვე მიხვდა, როგორც გრაფის მემკვიდრის დედას, ისე მე-  
გებებინო, იმანაც დაუკრა მიმზადებელი ღიმილით თავი უველას და  
თავის ნაზი ხმით უპასუხა: — გმადლობთ, ძალიან მადლობელი ვარო.  
ამერიკელი ქალისთვის, რომელც ყოველთვის ქალაქში ცხოვრებდა,  
ასეთი საერთო მიგებება და პატარისცემა მოულოდნელი და უჩვეუ-  
ლო ამბავი იყო. შევიდა თუ არა ეროვნის ცოლი საყდარში, მა-  
შინვე გამოჩნდა გრაფ დორინ კორტი, ეტლიც, რომელშიაც საუკე-

— მოადან! მოადან! მობრძანდიდებიან! — გაისმა ხალხში.

ეტლი საყდართან გაჩერდა; მდიდრულათ ჩაცმული ტომსი გა-  
ღმოხტა და ეტლის კარგბი გააღვა; იქიდან გაღმოხტა შავ ხავერდის  
ტანისამოსანი მოხდენილი პატარა, ვაჟი, რომელსაც ოქროს ფერი  
ხუჭუჭი თმა ლამაზათ ჰქონდა მხრებზე ჩამოვარუხნილი; ყველამ იმას  
მიაპყრო თვეალები.

— გამოსახული მამა არის! — ამბობდენ ისინი ვისაც კი კაპი-  
ტანი ეროლი ენახა. — აღამიანს ეგონება, თითონ კაპიტანი გაცოცხ-  
ლებულაო!

ბაეში ეტლთან გაჩერდა და ბაბუას ელოდა; გაღმოვიდა თუ არა  
მოხუცი გრაფი, ბაეშმა მაშინვე მთარი შეუშეირა და საყდარში შეს-  
კლას შოეხმარა. ყველამ მაშინვე იგრძნეს, რომ თუმცა გრაფ და-  
რინკორტისა ყველას ეშინოდა და ჯველა ერიდებოდა, მაგრამ  
პატიჲა ბაეშს სრულიად არაურისა არ ეშინოდა და მხოლოდ სიყვა-  
რულით და პატივისცემით ეკიდებოდა ბაბუას.

— კარგათ დამებჯინეთ, კარგათ! — ეუბნებოდა ბავში გრაფს. — შეხედეთ, როგორ უხარის ყველას თქვენი ნახვა, როგორ გიყურებენ ყველანი!

— ქუდი მოიხადე, ფაუნტელროი, თავს გიყრავენ! — მიუბრუნდა გრაფი შეილი-შეილს.

— მე? — გაკვირვებით წამოიძახა ბავშმა, მოიხადა ქუდი და ხალხს თავი დაუკრა.

— ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა გაგაბედნიეროს! — მოესმა ცედრიკს.

— ძალიან მადლობელი გარ, გმადლობთ! — უპასუხა ცედრიკმა და ისევ მოიხადა თავის ხავერდის ქუდი.

ბაბუამ და შეილი-შეილმა გაიარეს თითქმის მთელი ეკლესია და მღვდელთან ახლოს, პატარა, განცალკევებულ ადგილს მოთავსდენ, სადაც დადგმული იყო წითელი ხავერდით მოფენილი სკამები, გრაფ დორინკორტის ოჯახისათვის. ცედრიკმა მიიხედ-მოიხედა და ძალიან გაეხარდა, როდესაც საყდრის მეორე ბოლოს თავის დედა დაინახა; ახალგაზლა ქალმა სიყვარულით გაულიმა შორიდან. მალე პატარა ლორდის ყურადღება ორმა ქვისაგან გამოქანდაკებულმა ადამიანმა შეიძყრო; ისინი დაჩივებილი იყვენ და ხელში ქვისგანვე გამოქანდაკებული სამლოცველო წიგნები ეჭირათ; ქეეთ, ქვაზე რამდენიმე შეცდომით წარწერილი იყო:

— აქ განისვენებენ გვამნი არტურ ბეეისა, პირველ გრაფ დორინკორტისა და მეულლისა მისისა, ალოისა გილდევარდისისა.

— შეიძლება, რამე გყითხოთ? — ჩურჩულით მიუბრუნდა ბაბუან პატარა ლორდი, რომელსაც ცნობის მოყვარეობა აღარ ასევენებდა.

— რა გინდა მკათხო?

— ვინ არის აქ დამარხული?

— შენი წინაპრები. რომლებიც რამდენსამე ასი წლის წინეთ დაიხოცენ.

— მეც იმათსავით შეცდომებით ეწერ! — შენიშნა ცედრიკმა და ქვეს დააჩერდა.

როდესაც ეკლესიაში მუზიკა დაუკრეს, პატარა ლორდმა წამოიწია და შორიდან გაუცინა დედას; მას უყვარდა დედასთან ერთათ ლოცვების გალობა და დღესაც, როცა ხორომ გალობა დაიწყო, შეუერთდა მას და შეუთანხმა სხეების ხმებს თავისი წკრიალა ხმა. გრაფი დაფიქრებით მისჩერებოდა შეილიშეილს და თვალს არ აშორებდა მის უმანკო სახეს. ბაეში გალობდა, ხელში ლოცვების წიგნაკი ეჭირა; მზის შუქ მუინავი სხივი მას თავს ეკლებოდა და ოქროს ფრათ უკლეარებდა მის ხუჭუჭ თმას; დედაც შორიდან შეიღს მისჩერებოდა და გულში ღმერთს ეკედრებოდა: შეილი გამიბედნიერე, ნუ დააკარგინებ ახლანდელ გულ უბრყვილობას და პატიოსნებას და ნუ დალუპავ ჩემ პატარა ცედრიკს ამ მოულოდნელი სიმდიდრით და დიდებითო. ახალგაზდა დედის გულს რაღაცა შიში ეპარებოდა, მას თითონაც ეყრ გამოერკეთა, რის შიში იყო ეს. გუშინ ცედრიკი თითქმის მთელი დღე მასთან იყო; გამოთხოვების ღრის დედა გადაეხეთა და უთხრა: — ცედი, ცედი, ნეტავი უფრო ჭყვანი და ნასწავლი ეიყო, რომ ბევრი რამ გასწავლო, ბევრი რამ გადმოგცე! ახლა კი ამას გეუბნები: კეთილი და მტკიცე ხასიათისა იყავი, ყოველთვის მართალი ილაპარაკე — და მაშინ ცუდს არას ჩაიდენ, არაეს არაფერს აწყენინებ, და შეძლება, ზოგიერთმა ღმერთს მადლი გადაუხადოს, ამ ჩემი პატარა ვაჟის დაბადების გულისათვის. ძალიან დიდი ბედნიერებაა, ცედი, როცა აღამიანს შეუძლია, მცირე სარგებლობა მაინც მოუტანოს სხვებს, თუგინდ ძალიან მცირეც იყოს ეს სარგებლობა.

პატარა ლორდმა ეს სიტყვები ბაბუას გადასცა.

— მაშინევ თქვენ გამახსენდით, და ვუთხარი „ძეირფას“, რამდენი სარგებლობა მოგაქვსთ სხვისთვის! დაათავა პატარა ვაჟმა. — ისიც ვუთხარი, რამ გავიზრდები, მეც იმისთანა გამოვალთქო.

— მერე რა გიპასუხა! — სწრაფათ ჰყითხა დორინკორტმა.

— ასე მითხრა, მართალი ხარი; ყოველთვის ყველაფერი კარგი უნდა გამონახო ადამიანში და ეცალო, სიკეთეს მიჰმაძოო.

იქნება ახლა, როდესაც ექლესიაში, წითელ ხავერდიან სკამზე იჯდა, გრაფ დორინკორტს სწორეთ ეს სიტყვები აგონდებოდა; მან რამდენჯერმე გაპერდა თავის რძალს, გაპერდა იმ ქალის შვენიერ სახეს, რომელიც ისე უყვარდა ცედრიკს, იმ ქალის თაფლის ფერ თვალებს, რომელიც ისე ჰგავდა მის გვერდში მდგომ თმა ხუჭუჭა ბავშვს...

ძნელი მისხვედრი იყო, რა გრძნობები ტრიალებდენ ამ დილას მოხუცი გრაფის გაქვავებულ გულში.

წირვა გათავდა; ხალხი მოედანზე გამოეიდა და გრაფის და მისი შეილიშეილის გამოსცლას ელოდა. გამოეიდენ თუ არა ესენი, მათ შუა ხნის, ავათმყოფი სახის გლეხი მიღახლოვდა.

— აა! ხიჯინს, შენა ხარ! — უთხრა გრაფმა.

პატარა ლორდმა სწრაფათ შეხედა ხიჯინსს.

— ოო! — წამოიძახა მან, — მაშ ეს არის მისტერ ხიჯინი?

— ჰო! — ცივათ მიუგო გრაფმა. — უთუოთ თავის მიწის ახალი პატრონის ნახვა მოისურვა.

— მართალს ბრძანებთ, გრაფ! — უპასუხა ვლეხმა, მოურაემა მითხრა, პატარა ლორდმა შენი მხარე დაიჭირაო; თუ ნებას მომცემთ, მინდა, მადლობა გადავუხადო.


— ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ, ლორდ! — მიუბრუნდა ხიჯინსი ცედრიკს.

— რას ამბობთ! — წამოიძახა პატარა ვაემა. — მე ხომ წერილის დაწერის მეტი არა გამიკეთებიარა! თქვენი მხარე ბაბუამ დაიჭირა, ხომ იცით, რა კეთილია! როგორ არის თქვენი ცოლი?

— მე... ის... ჩემი ცოლი ახლა უკეთ არის! — მიუგო ვლეხმა, — მწუხარება ჰყლავდა, ახლა დამშეიდლა და კიდეც გამოკეთდა.

— ძალიან მიხარია, თუ ავრეა. — თქვა პატარა ლორდმა. — ბა-

ისტორიული და გეოგრაფიული მნიშვნელის მქონე ეძახის ება —



ბუას ძალიან ეცოდებოდა თქვენი შეილები, მეც მეცოდებოდა. ბა-  
ბუასაც ჰყავდა შეილები, მეც მისი შეილის შეილი ვარ.

ხჯინსმა აღარ იცოდა, რა ექნა, გრაფის შეხედვისაც კი რცხ-  
ენდა; ყველამ კარგათ იცოდა, რომ გრაფს ბავშები ჭირისაეით  
ეჯარებოდა. უწინ, როცა რომელიმე მისი შეილი ავათ გახდებოდა,  
ის მაშინვე ქალაქში წავიდოდა ხოლმე, გამდლები და ექიმები მაწუ-  
ხებენო.



— თვით გრაფისაც კი გაუკვირდა, ეს როგორ მოხდა, რომ ხიჯინსის შეიღებზე ეწერდიო.

— აი, ხდავთ, ხიჯინს! — მწარე ლიმილით თქვა მან. — ფაუნტელროის მეტმა ეერავინ ვერ მოცანით! როცა ჩემზე რამე სიკეთის გაგება მოვინდებათ, ჩემ შეიღიშეიღის მიშმართეთ. აბა, წაეიდეთ, ფაუნტელროი!

პატარა ვაჟი უცებ შეხტა ეტლში და ეტლი გაკოგმანდა. თითქმის სახლამდის გრაფი რაღაც სხვა ნაირი ლიმილით იღიმებოდა.

— თუ მავარდ თავის და მავარდის გამართ ნორ არის თავის მებრძოვები მდევრობ როგორი VIII.

ცხენზე კადომის სწავლება.

დრო გადიოდა და გრაფ დორინკორტი უფრო და უფრო ხშირათ იღიმებოდა. ამ გვარათ, რაც უფრო უახლოვდებოდა თავის შეიღილიშეიღის, მით უფრო გამზიდებელი ხდებოდა ეს ლიმილი. სამოცდა ათი წელიწადი მას მხოლოთ სხვა-და-სხვა სიმოვნებაში გაეტარებინა, ახლა კა მსახურის გაწყრომის მეტი სხვა გასართობი არა ჰქონდა რა, გრაფი ჰქონანი იყო; კარგათ ჰქონდება, რომ მსახურებსაც და სტუმრებსაც, რომლებიც ძალიან იშეიათათ დაიარებოდენ მასთან, არ უყვარდათ და კიდეც ეჯარებოდათ ის. მასაც ყველაფერი მოწყინდა, სიბერის გამო ძალ-ლონეც დაეკარგა, ჩაიკეტა დორინკორტის სასახლეში, აღარსაღ დადიოდა და გაქცეობის და წიგნების კითხვის მეტი სხვა საქმე აღარა ჰქონდა რა; მაგრამ მთელი დღე კითხვა ხომ არ შეძლება! ხშირათ მოეკიდებოდა ხოლმე მას მოწყენილობა და სევდა; დღე და ღამე უბოლოოთ ეჩერებოდა, დღითა-დღე უფრო და უფრო აერ და სასტიკი ხდებოდა.

აი, სწორეთ ამ დროს გაჩნდა მის გეერდში პატარა შეიღიშეიღი, და ბავშის საბეღნიიროთ, ბაბუა მაშინვე მიხედა, შემიძლია ამის-თანა მემკვიდრით ვიამაყოვო. შეიძლება, ცელრიკი რომ ისე ლამაზი

არ ყოფილიყო, გრაფს შესძულებოდა, მაგრამ როცა ბაეში ნახა, გრაფმა გადაწყვიტა, ასე ლამაზი და უშიშარი იმიტომ არის, რომ ძარღვებში დორინკორტების სისხლი უდგასო და გული მაშინვე გაეხსნა. მერე, როცა ხედავდა, რა კარგი გაზრდილი იყო პატარა ბაეში, რა მართალი, გულახდილი, კეთილი და მოწყალე — შეუმჩნევლათ, სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერდა შეილიშეილი მის გულში და მალე სრულებითაც გამეფდა იქ.

როდესაც ცედრიკი პირველათ შეჯდა ცხენზე, გრაფი ისე კმაყოფილი დარჩა, რომ ქარებიც კი დაეკიტედა. ის წიგნთ საცავის ოთახის ფანჯარასთან ჯდა და უყურებდა, როგორ მოიყვანა მეჯინიბეჭ პატარა ლამაზი ცხენი. იმას ეკონა, ბაეშს შეეშინდება, შეკროებაო, მაგრამ ფაუნტერიის მხოლოდ სიხარული და აღელვება ეტყობოდა, სხვა არაფერი. მეჯინიბეჭ რამდენჯერმე წინ და უკან გაატარა ცხენი გრაფის ფანჯრის წინ, მაგრამ ცედრიკი ამითი არ დაკმაყოფილდა.

— ბაბუა, არ შეიძლება მარტო ეიარო და ცოტა უფრო ჩქარა? — დაუყვარა მან გრაფს.

— მერე დარწმუნებული ხარ, რომ არ ჩამოვარდები?

— ეეცდები, ვშინჯავ!

გრაფმა მეჯინიბეჭ ანიშნა, ცხენზე შეჯექიო; ისიც თავის დიდ ცხენს მოახტა ზურგზე და ცედრიკის პატარა ცხენს აღვირში მოჰკიდა ხელი.


— ახლა გაათოხარიყეთ! — დაიძახა გრაფმა.

არც ისე ადვილი იყო თოხარიკი, როგორც პატარა ლორდს ეგონა.

— ძალიან მა-ჯან-ჯლა-ლებს! — ძლივს თქვა ცედრიკმა. თქვენც ა სე ხართ?

— ახა, ლორდ! — გაცინა მეჯინიბეჭ. — ცოტა ხანს იქით თქვენც მიეჩვევით. უზანგებს დაენდვეთ და ცოტა წამოდექოთ.

— წა-მომ-დგა-რი გარ!



ପାତ୍ରାଳୀ ଲୋକଦୀ ମାହିତିଲାଙ୍ଗ ମାଲିବାନ ଶ୍ରୀମଦ୍ଵାରା ଉନ୍ନାଗିରିଥେ; ସାବ୍ଦେ ମତିଲାଟ ଗୁରୁତ୍ବିତିଲାଦା, ଶ୍ରୀମଦ୍ବାରା ପିତାମହ, ମାତ୍ରାମି ହାମିଗ୍ରାହିଲାନିତ ମାନ୍ଦୁ ଏକ ହାମିଗ୍ରାହିଲାନିଲା ଏବଂ ପଦିଲାବଦା, ରାମଦ୍ଵେନାତାଙ୍କ ଶ୍ରୀକ୍ଷମ, ଉନ୍ନାଗିରିଥେ

სწორეთ მჯდარიყო. გრაფი ფანჯრიდან თვალყურს ადევნებდა. მხედ-  
რები ხეებში მიიმალენ, მერე ისევ დაბრუნდენ. ფაუნტელროი უქუ-  
ღოთ იყო, ლოკებზე ალმური ასდიოდა, ტუჩები მოეცუმა, მაგრამ ცხე-  
ნი მაინც თოხარიყით მოჰკვდა.

— შენი ქუდი საღ-ღა არის? — ჰეითხა ბაბუამ.

მეჯინებემ თავისი მოიხადა და მხიარულათ უპასუხა:

— გადაუვარდა, გრაფ, და ლორდმა ნება არ მომცა, რომ ამეღო.

— შეეშინდა? — ცივათ ჰეითხა გრაფმა.

— არა, ბატონო, სრულებათ არ ეშინია. ბევრ პატარებს ვას-  
წავლიდი ცხენზე ჯდომას, მაგრამ ჯერ ამისთანა არ მინახაეს!

— დაილალე? — ჰეითხა გრაფმა შვილიშვილს. — ჩამოხტომა გინდა?

— ცოტათ დავიღალე და კიდეც მაჯანჯლალებს! — გულახლი-  
ლათ მიუკო პატარა ვაჭმა, — მაგრამ ჩამოხტომა მაინც არ მინდა. უნ-  
და ეისწავლო ცხენზე ჯდომა. ცოტას დავისვენებ და ქუდის მოსა-  
ტანათ წავალ.

ცედრიკმა არც კი იცოდა, როგორ იგებდა ამ სიტყვებით გრა-  
ფის გულს! როდესაც ბავში ისევ თოხარიყით გაემართა ქუდის სა-  
ძებნელათ, გრაფის ფერმყრთალ სახეს ვარდის ფერმა გადაჭრა, მის-  
მა თვალებმა სიხარულით იელვეს სქელ წარბებს ქვეშიდან, ის თი-  
თონაც არ მოელოდა, თუ ასე იამებოდა შვილიშვილის ყოჩალობა.  
ის მოუთმენლათ მოელოდა, როგორც გამოჩნდებიან მხედრებიო; აი,  
ცხენების ფეხის ხმა მოისმა და ფაუნტელროიც გამოჩნდა; ის ისევ  
უქუდოთ იყო, მისი ქუდი მეჯინიბეს ეჭირა; ბავში კიდევ უფრო აწი-  
თლებულიყო, თმა მთლათ ერთიანათ გაწეწოდა.

— აი, ბაბუა! — შორიდანვე ყვიროდა ის. — კიდევაც გავაჭენე  
ცხენი და არ გაღმოეარდნილეარ!

ამ დღიდან პატარა ცხენი, ცედრიკი და მეჯინიბე ძალიან და-  
მეგობრდენ; ისე დღე არ გაივლიდა, რომ ისინი სასეირნოთ არ წა-  
სულიყვენ; გლეხების ბავშები გამოირბენდენ ხოლმე თავის ქოხები-  
დან და აღტაცებით მიჩერებოდენ უშიშარ პატარა მხედარს, რომე-  
ლიც ისე გამართული იჯდა ცხენზე. პატარა ლორდი ყოველთვის  
ქუდს მოიხდიდა ხოლმე და „გამარჯვობაო!“ მეგობრულათ უშაბოდა  
ბავშებს; ხან-და-ხან კიდეც გააჩერებდა ცხენს და ესაუბრებოდა. მე-

## პატარა ლორწყელი

ჯინიბეგ უაშო მსახურებს, ერთხელ ლორდი სოფლის სასწავლებელ-თან გახერდა, ჩამოვიდა ცხენიდან და მოითხოვა, ჩემ მაგრე ეს კოჭ-ლი ბავში შეჯდესა.

— ვუთხარი, ჩემ ცხენზე მაინც შევსვათ მეთქი, — ამბობდა მე-ჯინიბე, — მაგრამ არასფრით არა ჰქნა, ისე თქვა: შენიც ხენი მაღალია და ბავში გაღმოვარდება; ის კოჭლია, მე კი არა. მე ფეხითაც წამოვალო, სულ ამას გაიძახოდა. რალა გაეწყობოდა, შეესვი კოჭლი ბავში; ლორდი კი მის გვერდში მოლიდა; ჩაიყო ხელები ჯიბებში, გა-დაიწია ქუდი უკან და ისე მხიარულათ მიღიოდა, თითქო რამე კარ-გი საჩუქარი მიეღოს. როცა კოჭლის სახლს მიეუახლოედით, მისი დედა გამოგვევება, ლორდმა ქუდი მოიხადა და უთხრა: — თქვენ შეიღს ფეხი ტკივა; ბაბუას ვეტყვი და მხარში შესადგმელ ჯოხებს აჩუქებ-სო. “წარმოიდგინეთ ახლა იმ ქალის გაკუირვება! მეც კინაღამ დამ-ბლა დამეტა!

როცა გრაფმა ეს ამბავი გაიგო, გაიცინა, გაამეორებინა ისევ ყველაფერი შეიღიშვილს და ისევ გაიცინა. რამდენსამე დღეს შემ-დეგ გრაფის ეტლი კოჭლის ქოხის წინ გახერდა; ფაუნტელროი ცეკიტათ გადმოხტა იქიდან, მიუტანა კოჭლის დედას ორი პატარა, ლამაზი, მხარში შესადგმელი ჯოხი და უთხრა:

— ბაბუამ მოგიყითხათ და ეს გამუუგზავნა თქვენ შეიღს. იმე-დია, ახლა უკეთ არის.

როცა ეტლში ჯდებოდა, ცედრიკი გრაფს მიუბრუნდა:

— თქვენ მოკითხეა არ დაგიბარებიათ, ბაბუა, მაგრამ უთუოთ დაგვიწყდათ და მე მაინც გადავეცი.

გრაფმა გაიღიმა და არა უპასუხა რა.

გრაფი და ცედრიკი დღითი დღე უფრო და უფრო მეკაბრდე-ბოდენ; ცედრიკს ყოველივე სურვილი უსრულდებოდა. როგორც კი რამეს ინატრებდა, მაშინვე გრაფი აჩუქებდა; შეიძლება ამას სულ წაეხდინა და გაეუუჭებინა ბავში, დედა რომ იქვე ახლოს არ ჰყოლო-და; მასთან საუბარს შედეგ ბავში ყოველთვის დაფიქრებული ბრუნ-

ଡେବନଦା ସାସାକଳ୍ପନା. ମହାଲାତ ଗାନ୍ଧି ରାମ ଅକ୍ଷେତ୍ରରେ ଓ ଏଣ୍ଟିକ୍ଷେତ୍ରରେ  
ବାତାରୀ ଲାଗନଦ୍ୱାରା ବାଦ୍ଯା ଓ ଡେଲ ମିଳି ଆରାନ୍ତରେ ଏହାଙ୍କାଳେ ଗାନ୍ଧି  
ମାନ୍ଦେବୀ; ଏହାପାଇଁ ବାଦ୍ଯା କୁଳକ୍ରିଲାଙ୍ଘାମିଦିଲି ମିଳିଯାନ୍ତା, ଏତିଲିକାନ ଆରାନ୍ତରେ  
ଏହା ଗାଢମୋହିଦ୍ୱାରା, ଏକଳେଶୀଳୀକୁ ମାରିଥାଏ ବାଦ୍ଯାଖି ମିଳିଲାଦା ତାଙ୍କୁ  
ଫେରାଯାଇବାରେ, ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଉତ୍ସାହରେ ବେଳେ ଏହାକିମାନ କେମିଯି: ମାତ୍ରାକାର  
ସାସାକଳିଦାର ଉତ୍ସାହରେ ଉତ୍ସାହରେ ଆକାଶଗାଢିର କାଳେ ସାଜ୍ଜେତେଲେ ବିଲେ



და ყვავილებს. ყველაზე უფრო ცელიკი გრაფის შემდეგმა მოქმედებამ ასიამოვნა: ერთ კეირას შემდევ მას აქეთ, რაც ქალბატონი ეროლა საყდარში ფეხით მივიღა, ცელიკი მასთან წასასვლელათ ემზადებოდა და როცა აიგანზე გამოვიდა, დაინახა, რომ დიდი ეტლის მავიერათ მას ელოდა პატარა, შვენიერი და სუბუქი ეტლი, რომელშიაც ოქროსფერი ცხენი იყო შებმული.

— ეს დედაშენისთვის საჩუქარია! — უთხრა გრაფმა. ფეხით არ უნდა იაროს, ეტლი მისთვის მიუცელებელი საჭიროა. ეს მეჯინებეც კორტლოჯში დარჩება ცხენის მოსასვლელათ. გახსოვდეს, რომ ამ ეტლს შენ აჩუქებ დედაშენს.

აღტაცებულმა ცელიკმა მაღლობის თქმაც ველარ მოახერხა. კორტლოჯში ის სწრაფათ გადმოხტა ეტლიდან და მივარდა დედას, რომელიც ბალჩაში გარდებს ჰკრეფდა.

— ძეირფასო! — შორიდნევ უძახოდა ის. — შენია, შენი ეს ეტლი! ბაბუამ თქვა, რომ ეს მე უნდა გაჩუქო, შენი საკუთრება იქნება, საცა გინდა, იქ შევიძლია წახეიდე მაგითი!

ქალბატონ ეროლს არაფრათ იამა გრაფისაგან საჩუქრის მიღება, მაგრამ როგორ უნდა ეწყენინებინა შეიღილისათვის? მისი თხოვნით, ის ვარდების თაიგულით ხელში ჩაჯდა მასთან ერთათ ეტლში და დედა-შეიღილი დიდხანს დასკირნობდენ. ბაეში უამბობდა ბაბუას კეთილგულობაზე; ახალგაზღვა ქალი იღიმებოდა და უხარადა, ცელიკი რომ ბაბუაში კარგის მეტს არას ხედავდა.

მეორე დღეს პატარა ლორდი თავის მეგობარ გობსს წერილს. სწერდა; დიდი ხნის შრომა დაჭირდა პატარა ცელიკს; ჯერ შეათ დაწერა, მერე სუფთათ გადაწერა და ბაბუას მიუტანა გასასწორებლათ.

— თუ შეცდომებს ნახაეთ, ისევ გადავწერ! — უთხრა მან.

რასაკვირველია, შეცდომები ბევრი იყო; ამას გარდა არსად არ ჩნდა არც ერთი წერტილი, ან მძიმე; ჩეენ კი აქ უშეცდომოთ მოკვავს ის დაწერილი:

„ძეირფასო მისტერ გობს! გწერთ მისთვის, რომ გამოგიცხადოთ,

— მე იმას ვერ ვიცნობ! — ციგათ უპასუხა გრაფმა.

— ვიცი, და მეც ეგ მაკვირეებს! — მწუხარეთ თქვა პატარა ლორდმა. — „ძეირფასმა“ მითხრა, ნუ ჩააციდები გრაფს ამის მიზეზის გასაგებათო, და მეც არ გკითხავთ ხოლმე... მაგრამ ხშირათ ვფიქრობ და ვერ მიემხდარეარ. მაინც არ გკითხავთ. როცა ძალიან მომწყინდება ხოლმე უიმისოთ, მივალ ხოლმე საღამოს ჩემ ფანჯარასთან და კორტლოჯისკენ ვიყურები; როგორც კი დაბნელდება ხოლმე, „ძეირფასი“ სანთელს დგამს თავის ფანჯარაზე, მე დავინახავ ხოლმე სინათლეს და მესმის, ის რასაც ნიშნავს.

— რას ნიშნავს? — დაეკითხა გრაფი.

— ეს ნიშნავს იმას, რომ „ძეირფასი“ მეუბნება იქიდან: „ნახეამდის! ღმერთმა დაგიფაროს, ტკბილათ იძინეო.“ ყოველ საღამოს ამას მეუბნებოდა ხოლმე, ღილას კი ყოველთვის ასე მეტყოდა: „ღმერთმა მთელი დღე ბელნიერათ გაგატარებინოსო და დაგიფაროსო“. და ღმერთიც მიფარავდა...

— მაგაში იჭეი არ არის! — ციგათ დაეთანხმა გრაფი. მან მოღუშა წარბები და ისეთი დაკვირვებით მიაჩერდა პატარა ლორდს, რომ ბავშვა ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ამ ნაირი ყურება.

ე—ეო.

(შემდეგი იქნება)



რომ ჩემი ბაბუა საუკეთესო კაცია მთელ ქვეყანაზე და ის, რაც თქვენ გავიკონიათ გრაფებზე — სულ ტყუილია; ბაბუა გრაფია, მაგრამ არც აეის, არც დადგული და მე მინდა, რომ თქვენ ერთმანეთს გაეცნოთ. ფეხში ქარები აქვს, მაკრამ მოთმინებით იტანს ტყიყილებს. მე უკველ დღე უფრო და უფრო მიყეარს ბაბუა; მან უკელა-ფერი იცის და უკელაფერზე ლაპარაკი შეუძლია. მე პატარა ცხენი მაჩუქა, დედას შვენიერი ეტლი. მე სამი ოთახი მაქვს და იმდენი სათამაშები, რომ თქვენ გაგიკარლებათ. მე ვიცი, სასახლე ძალიან მოვწონებათ, წალკოტი კი იმსელაა, რომ შიგ გზის დაკარგვა შეიძლება. ბაბუა ძალიან მდიდარია, მაგრამ ამაყი სულ არ არის, თქვენ კი გრონიათ, რომ უკელა გრაფები ამაყები არიან! აქ ძალიან ზრდილობიანი ხალხია, კაცები სულ თავს გვიკრავენ, ქალები სულ გელოცავენ. მე ცხენზე ჯდომა დავისწავლე, ჯერ ძალიან ვტოდი უნაგირზე, ახლა კი ცოტა მიერჩიო. ბაბუამ ბინა დაუთმო ერთ ლა რიბ კაცს, რომელსაც ფულის შემოტანა არ შეეძლო. მელონმა კი საჭმელი და ტანსაცმელი წაულო მის შვილებს. მხოლოდ ძალიან მწყინს, რომ „ძეირუასი“ ჩეენთან სასახლეში არ დგას, როცა ამაზე არ ვფიქრობ მაშინ მხიარულათ ვარ. წერალი მომწერეთ; მე ძალიან მინდა თქვენი ნახეა.

თქვენი ძეელი მეგობარი

ცედრივ ერთლი

R. S. სასახლეს ქვეშ სატუსალო არ არის და არავინ არ ტანჯება.

R. S. ბაბუა ისეთი კარგი და კეთილი გრაფია, რომ ხან-და-ხან თქვენ თავს მაგონებს\*.

— ძალიან მოგწყინდება ხოლმე უდედოთ? — ჰეითხა გრაფმა, რო-დესაც წერილის კითხვა გაათავა.

— ძალია! — მიუგო ბავშვა, — სულ იმაზე ვფიქრობ ხოლმე...

ცედრიკი მიუხსლოვდა ბაბუას, დაადვა ხელი მუხლზე, შეხედა პირდაპირ თვალებში და ჰეითხა.

— თქვენ კი არ მოგწყინდებათ ხოლმე უიმისოთ?



## გველების ამგავი.

(თარგმანი)

**ც**ეილონის კუნძულზე ვცხოვოებდიო“, ამ-  
 ბობს ერთი ინგლისელი: „ჩემი ფანჯრების  
 წინ თვალი გადუწვდენელ სივრცეზე გადაშლილ-  
 იყო უშველებელი ტუ, ახლოს ჰატარა გორაკი  
 მოჩანდა, რომელზედაც ოთხი ღიღი ბზის ხეიდგა-  
 სშირთ ვუცქერდი ლერწამივით ამარ-  
 თულ ბზებს, ლამაზათ გაწეობილის ფო-  
 თლებით და მათი მზერით ვტკბებოდი. ერთხელ დილით  
 ადრე გამოვიდვიმე, გავსედე ბზებს და შევამჩნიე, რომ  
 ერთი ბზის უშველებელი ტოტი ინძრეოდა, ქანაობდა, და-  
 იზნიქებოდა მიწამდის და მერე ისევ მაღლა ადიოდა და  
 სშირ ფოთლებში იმაღლებოდა. ჭაერში სიწენარე იყო,  
 სიოც კი ადარ შემოჭეროდა ღია ფანჯარაში... ვერ გა-  
 მომერკვია, რა უნდა უოფილიყო იმ ხეზე. ამ ღროს შე-  
 მოვიდა ჩემთან ერთი ცეილონელი. მე მივუთითე ტოტზე  
 და ვკითხე: რა უნდა იუვეს მეოქი. ცეილონელი გაფითო-  
 და და შემინებული კინაღამ წაიქცა. — „ჩეარა, ჩეარა მი-

ხურეთ ფანჯრები, მითხრა იმან; მიხურეთ, მიჰყეტეთ გარები და უეპრაულეთ, ფთხილათ იუბვით, ეს ტოტი კი არა, — დიდი გველია. ახლა მზეზე თამაშობს, ხის ფოთლები მალგა უევარს, დილის წმინდა სიცრილით ტკბება და დედამიწაზე საჭმლის საშოუნელათ ჩამოდის‘’. ის მართალს ამბობდა; რაძენსამე წამს შემდეგ მე თვითონ დავინახე, რომ გველმა რაღაცა ჰატარა ცხოველი დაიჭირა, აიტანა ჭარში და თავის მსხვერპლით ბზის შტოებში ჩაიმალა. ცეილონელს გველებზე გამოკითხვა დავუწევ და შევიტევ, რომ ისინი უფრო უდაბურ ტუებში, ხეებზე ცხოვრებენ, იქიდან დაეცემან ახლო მიმავალს კაცს ან სხვა ცხოველს და ცოცხალსაშვე შექმამენ.

თორმეტმა კაცმა მოვიუარეთ თავი, შევიარადდით, შეგსხედით ცხენებზე და ხმირ ბუჩქნარიდან გველს გუახლოვდებოდით.


თოფის სასროლზე რომ მიგუახლოვდით, დავუწევთ თვალიერება და შიშმა აგვიტანა. გველი საშინელი დიდი რამ ცეო. თვითონ ცეილონელები გვეუბნებოდენ, რომ ჩვენ დღეში მაგოდენა გველი არ გვინახავსო. კაცზე მსხვილი იქო და სისქესთან შედარებით საშინელი გრძელი: ბოლოთი მაღლა მსხვილ ტოტს შემოჭივეოდა, თავს დედმიწაზე დააცოცებდა. მის სიმარდეს განცემურებაში მოვევადით: ერთს წამს ათას ნაირათ დაიკლავნ-დაიხვლან ჯებოდა, ათასჯერ მიბრუნდ-მობრუნდებოდა, სწრაფათ მიწა-

ჭე ჩამოეშვებოდა, მოეხვეოდა ბოლოთი ხის მიწს, გაი-  
ჭიმებოდა ბალახზე და შემდეგ ერთი თვალის დახამხამება-  
ზე ისევ ხეზე შეხტებოდა და ტოტებში და ფოთლებში  
ჩაიძალებოდა. ესე ერთობოდა ბოა და თვითონვე შეჭხა-  
როდა თავის მალას და სიძარდეს; ერთ ხანს შეიკუმშა,  
დაეხვია წინანდელზე უფრო ძრიელ და სწრაფათ და გა-  
უნძრევლათ გაინაბა მტოებ შეა. ჩვენ მაშინვე მიგზვდით  
ეს რასაც მოასწავებდა. ჰატარა მელა მოცუნცულებდა ხის  
ქვეშ; გველი დაეცა ზევიდან შაგარდენივით და რამდენსამე  
წუთს შემდეგ კიდეც გაათავა. ჩვენ, შემდეგ დავინახეთ, რომ  
ის დამშვიდებული დაწოლილი მიწაზე, მოჭიშვეოდა ბო-  
ლოთი ხის მიწს და ლოკავდა თავის შავი, განიერი ენით  
საწეალი ნადირის ხორცისა და ძვლებს. გველის თამაშო-  
ბის და საზარელი ნადირობის ცქერით, რომ გული ვი-  
ჯერეთ, გადაეწევიტეთ ეველას ერთათ თოვები გვესრო-  
ლა. თოვებმა იგრიალეს, მაგრამ გველმა თავისუფლათ მიი-  
ღო თავი. ალბათ ჩვენ სწორეთ ვერ ვესროლეთ, ეს ცხადი  
იუო რომ ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ მოარტეა; გველი  
ისევ წენარეთ მიწაზე იწვა და უურსაც არ იბერტეავდა.  
კაი ხანმა გაიარა, სანამ ჩვენ მოვემზადებოდით, ვუცეკო-  
დით შორიდან და რჩევაში ვიუვით, რომელი მხრიდან  
კობს სროლაო.

საღამომაც მოაწია. ჩვენ სახლში დაბრუნება გადავ-  
წევიტეთ, გვინდოდა მოგვეგროვებინა სხვებიც და ისე

დაუცემოდით ამ საშიძარ ცხოველს. ცეილონელებმა და-  
 გვარწმუნეს, რომ გველი თუ ამოირჩევს რომელსამე ხეს,  
 მალე თავს არ დაანებებსო. მეორე დღეს დილით ადრე,  
 გუშინდელზე უფრო ბევრი, მივედით ისევ იმ ბუჩქებთან.  
 გველი იმ ადგილს არ მოჰქმორებოდა; ეტეობოდა შიმ-  
 შილს შეეწყებინა. მალე ვისილეთ საოცარი და საშიძა-  
 რი სურათი. ხის ახლოს ვეფხი მიდიოდა, კაი მროხის  
 ტოლა იქნებოდა. ერთ თვალის დახამხამებაზე ხის ტო-  
 ტებმა ნძრევა და შრიალი დაიწეს, ისარივით გამოექანა  
 იქიდან გველი, დაუცა ვეფხს გავაზე და კაცის თავის  
 ოდენა ხორცი კი ამოაგლიჯა, გაცოფებულმა ვეფხმა ღრია-  
 ლი მორთო; სტოდა, გარბოდა და თან ზურგით მტერს  
 მიარბევინებდა. მაგრამ ბოა სამჯერ თუ ოთხჯერ მაგრათ  
 გარს შემოეხვიდა და ისე მავრათ გაუჭირა, რომ ვეფხი დედამიწა-  
 ზე დასცა. მერე მისწვდა თავს, გააღორაც კი შეეძლო თა-  
 ვისი პირი, ჩაიდო ვეფხის თავი და მტვრევა-გლეჯა დაუ-  
 წეო. ვეფხი ვითომ კიდევ შეებრძოლა, დაიწეო აქეთ-იქით  
 წევეტება და საშინლათ ღრიალებდა გველის პირში. დიდ-  
 ხანს იბრძოდენ. ხან მოიკრევდა ვეფხი მალას, გასწორ-  
 დებოდა და რამდენსამე ნაბიჯს წინ წადგამდა ხოლმე,  
 ხან კი გაქანჩული დაუცემოდა მიწაზე და ბორგავდა; ბო-  
 ლოს მალა გამოელია და ცოცხალ მკვდარი-და ეგდო  
 მირს. გველს ვეფხის გვერდების და მვლების მილეწ-მო-  
 ლეწა უნდოდა და უწინდელზე უფრო მრიელ მოუჭირა

საწეალს; მელებმა დაიტკაცუნეს, მაგრამ კიდევ მაგრათ  
 იუვენ. მაშინ გველი გადოხტა ზურგიდან, შემოახვია ბო-  
 ლო კისერზე და თუმცა კი სიმნელით, მაგრამ მაინც გაი-  
 თხია ხისკენ, შემოეხვია გარს და ისევ დაუწეო სრესა და  
 მტკრევა ვეფხის ძაღლს და რბილს. მიაღწია თავის მი-  
 ზანს, ახლა თავიც უნდოდა დაერბილებინა, მაგრამ ვერ  
 შესძლო და დასასვენებლათ ხეზე ავიდა. მესამე დღეს და-  
 ვინახეთ, რომ ვეფხის მაგივრათ ცარიელი ლემიღა ეგრო;  
 გველი იქვე ახლოს მოსწოლოდა, სრესდა და დაუღეჭვათ  
 ჰელაპავდა. სალამომდის ვეფხის სისხლის, ტეატრის ნაგ-  
 ლეჯების და ზოგიერთი ძვლების მეტი აღარა იუორა. მეოთხე დღეს დილით ისევ გველის საურებლათ წავე-  
 დით, უკან ბევრი ცეილონელი ქალები და ბავშები გამო-  
 გვენ. ისინი მოეჩარებოდენ სიცილით და ხუმრობით,  
 თითქოს ჯვარობას მიდიანო, ხელში დანები, ცულები და  
 სხვა-და-სხვა იარაღი, ჭურჭელი ეჭირათ. ცეილონელები  
 ამბობდენ, რომ გამაძღარი გველი საშიში არ არისო, და  
 მართლა ასე იუო, ჩვენ მიუვახლოვდით გველს; არც  
 გაქცევა, არც თავის დაცვა აღარ შეძლო. ხეზე ასვლა  
 უნდოდა, ერთხელ ორჯელ გაინმრა, მაგრამ მმიმე მორ-  
 გვივით ისევ მიწაზე დაეცა. დაჭკარება თავისი სიმარდე.  
 მომრაობა მისი ეხლა იუო ნელი, ღონე გამოლეოდა;  
 თვალებიდა უპრიალებდა საშიშათ, თითქოს ცეცხლს აფრ-  
 ჟვევდენ. პირი დიდათ გაეღო, გაორკაზებულ ენას ჰეოფდა



აკანცარებდა. კაცს ეგონებოდა, რომ მას ფართ და  
ხმალათ ენალა დარჩენია და ამით უნდა თავი დაცემასო.

ცეილონელები უკირილით ეცნენ; დასხდენ ზევიდან, აკუ-  
წეს ნაჭერ ნაჭერ, მოხარშეს და ნადიმობა გამართესო“.

ბოა საშიშია თავისი დიდი დონით, მაგრამ მგრგვი-

ნავი გველი, სათვალებიანი და სხვა მათი გვარი უფრო  
 საშიშარნი არიან თავიანთი შესმით. ბოა ღიღია, კაცს შეუ-  
 ძლიან შორიდან დაინახოს და თავს უშეველოს; გარდა ამისა  
 მას უფრო ხშირი, უდაბნო ტუ უევარს საცხოვრებლათ,  
 საცა კაცი იშვიათათ ხვდება. ათასში ერთხელ თუ მიცურ-  
 დება კაცის საცხოვრებელ ალაგს. მაგრამ შეუძლებელია  
 კაცი სათვალებიან ან მგრგვინავ გველს და მალოს,  
 მოერიდოს. ეს საშინელი ქვემმრომნი უმხამავენ სიცოცხ-  
 ლეს ინდოეთის მცხოვრებთ, და ბუნებისაგან უჩვათ და-  
 ჯალდოვებულ ადგილებში, რომელნიც უველავორით შემ-  
 გულ წალკოტს წარმოადგენენ, კაცს უშლიან ბუნებით და-  
 ტებობას და მუდამ სიფრთხილეზე და ანაზდეულ, წვალე-  
 ბით სიკვდილზე აფიქრებენ. სათვალებიანი და მგრ-  
 გინავი გვლები უველგან არიან. ტუში, ბაღებში, ადან  
 სახლის ჭერში, ფანჯრებში, შედიან კარებიდან სახლში,  
 მოიკალათებენ წიგნებში, სავარძლებ ქვეშ, ბალიშ ქვეშ,  
 ჩაუმვრებიან ბავშებს აკვანში, უველგან, უველგან მათი რი-  
 ცხვი მრავალია. ერთი მოგზაური საშინელ ამბავს მოგვი-  
 თხობს.

„ერთხელ“, ამბობს მოგზაური, — ერთ ექიმთან სტუმ-  
 რათ ვიუბვით; ბაღში, ფანჩატურში მაგიდას გარს ვუსუ-  
 რით და მხიარულათ ვლაპარაკობდით. ზოგი მოსამსახურე  
 მარაოთი გვაგრილებდა, ზოგს სავრილებელი სასმელები  
 მოჰქონდა. მასპინშელი ექიმი თავის თავგადასავალს, ომი-

ანობის და ნადირობის ამბებს, მოგვითხრობდა; უცბათ სახეზე შეიცვალა, სიტუაცია შეწევიტა და შიშისაგან გაქვავდა.

— რა მოგივიდათ ექიმო? რამ გაგაფითრათ აკრე!

„ჩუმათ. თუ ღმერთი გწამთ, ჩუმათ! გვიჩასუსა იმან და თანაც ფერი უფრო და უფრო მისდიოდა.

ხმა იმნაირათ შეცვალა, რომ ჩვენც კანკალებ ავიტანა.

— ავათ ხომ არა ხართ, ექიმო? გული ხომ არ გისუსტდებათ? ჰყითხა ერთმა სტუმართაგანმა და წამოიწია მისაშველებლათ.

— თუ ღმერთი გწამსთ! უპასუსა ექიმმა თხოვნით და მუდარით (ხმაძი კანკალი ეტეობოდა), — არ დარმრათ თქვენის ბინიდან, თორებ დავიღუბები.

— რა მოგივიდათ? რა არის იმისთანა.

— გთხოვთ, ხმა მაღლა ნუ ლაპარაკობთ, ნუ ინმრევით, ადგილებიდან ნუ დაძევრით, ისხედით წენარათ, თორებ ჩემი სიკვდილი აუცილებელია; თუ ჩემ თხოვნას აასრულებთ, შესაძლებელია, რომ ცოცხალი გადავრჩე.-ხედავთ სათვალებიანი გველი ჯეზე შემოძეხვა!

ჩვენ ეველა შიშმა აგვიტანა და დავაპირეთ ადგილებიდან წამოხტომა; მაგრამ ექიმის საცოდაობამ, მისი ტანკული სახის გამომეტეველებამ დაგვაბა ერთ ადგილას. ვიცოდით კი, რა განსაცდელშიაც ვიუგით: შესაძლებელი.

იუო გველს ექიმისათვის თავი დაეწებებინა და ჩვენ გვცემოდა. ვისაც კი უპინდა, სიკვდილი აუცილებელი იყო. ექიმი სალათში და გმელ უელიან წინდებში იყო გამოწუობილი, ამიტომ გველის უველა მოძრაობას გრძნობდა; გრძნობდა რომ ფეხზე ეჭვეოდა და სულ ზეგით და ზევით მიიწევდა. ექიმს სახე ხან უმავდებოდა, ხან უუვითლდებოდა, გაუნძრევლათ იჯდა: ტუჩების ნძრევისა, წარბის შეხრისა, ენის განძრევისაც კი ეშინოდა. ჰატარა მოძრაობას შეეძლო გველი გაებრაზებინა; მაშინვე უპინდა — და წუთი სოფელს უნდა გამოთხოვებოდა. ამისთანა სატანაზველ მდგომარეობაში გაიარა რამდენიმე წამმა. ჩვენ ვისხედით და ვიტან ჯებოდით.

„ირგვლივ ფეხზე შემომეხვია... მუხლს ამოსცდა“... — ძლიერსდა ბუტბუტებიდა ექიმი: „უფრო მრიელ გამიჭირა. რძე! თუ დამერთი გწამსთ, ჩქარა, რძე მოიტანეთ! მაღლა ლაპარაკი არ შემიძლიან. ახლოს დამიდგით რძე და ცოტა იატაკზედაც დაასხით!! მე მაშინვე ვუბძანე, და ერთი მოსამსახურე რძისთვის ფეხ-აკრეფით გაიპარა.

— „ნუ, ნუ გაინძრევით, კაპიტანო! თქვენ თავი საით-კენლაც მიიღეთ. გაფიცეპთ ნუდარ გაინძრევით. იქნება ჩემი ბედი ახლავე გადაწედეს. ცოლი და ორი შვილი ევროპაში მუავს; გადაეცით იმათ, რომ სიკვდილის წინ მათა ვლოცავდი, დამერთს გევერიებოდი უკანასკნელ ჯოჯო-ხეთურ წამებშიაც კი, იმათ სიცოცხლეს... გველი კი არ მეც-

ლება, უფრო და უფრო მეხვევა, ზევით მოცოცავს... ვგრ-  
მნობ მის სახარელ სუნთქვას. ოხ! ღმერთო ჩემო! ამის-  
თანა სიკვდილი!.. სანამ რძეც მოიტანეს; ინდოელმა — მო-  
სამსახურემ ფრთხილათ, გველივით მიუცურა რძე, მიუდგა  
ექიმს ფეხებთან და ცოტა იატაჭედაც დაღვარა.

— „არა! არც ეს მშველის! უფრო მაგრათ გამიჭირა,  
რკინასავით გამქანჩა... უჟ! იძლება, თავი მომაშორა... გა-  
თავებულია! საცაა მიკბენს... ღმერთო! ჩქარა მაინც მოვკე-  
დე! ვეღარ ავიტან ამ ტანჯვას. არა!.. მშორდება, ცოტა მო-  
მეძეა. თავს მანებებს... ახლა სხვასთან რომ მიცურდეს?“  
ჩვენ მალა უნებლივ ავმაგძადით.

— „თუ ღმერთი გწმისთ ნუ გაინმრევით, ნუ ადგე-  
ბით! გამოიჩინეთ დიდსულოფნება, ნუ დამღუპავთ! თითქმის  
სულ თავი დამანება, საცაა იატაჭე დაუცემა... ერიდეთ,  
კაპიტანო! თქვენსკენ გადმოვარდება... კიდევ მეხვევა... ვე-  
ღარ ავიტან ამ ტანჯვას. არა! იატაჭე დაუცეა“. ჩვენ ევ-  
ლა ერთს წერტილს დაგაცემერდით, გველმა თავი აიღო,  
გაიძერა და რძისაკენ ჭრის ბირი.

„მიშველეთ, უშველეთ თქვენ თავს!“ ევიროდა ექიმი და  
უგრმნობლათ მიესვენა მოსამსახურის მკლავზე. ჩვენ  
გაგქანდით, დაუმინეთ სკამები, კეტები, რაც კი ხელში  
მოვგხდა და გველი მოვყალით, მხოლოდ ახლა ამოვისუნ-  
თქეთ თავისუფლათ. გულ შეწუხებული ექიმი საწოლთან  
მიიტანეს?“

ამ მაგალითების მოწმობით, შეიძლება გაცმა იფიქ-  
როს, რომ ამისთანა ადგილებში კაცის ცხოვრება უვ-  
ლად შეუძლებელი უნდა იუგესო. მაგრამ სრულიადაც არა.

სიმარდე, მოხერხება, სიფრთხილე, რომელსაც გარჯი-  
 შობით, მიჩვევით იძენენ ამისთანა ადგილების მცხოვრებ-  
 ლები, იცავს მათ ამგვარ ფარულ, საშიშ მტრისაგან. იქა-  
 ურს თუ ხელში ჯოხი უჭირავს, ადგილათ მოჭელავს  
 გველს, ჯოხიც რომ არა ჭიქონდეს, წაავლებს მარდათ  
 კუდში ხელს და ისე ღონივრათ მიანარცხებს რასმეს, რომ  
 სულს გაანთხვინებს. ზოგი ისეა დახელოვნებული, რომ  
 სულ მცირე საჩუქრისთვის ამისთანა შეამიან გველებს ხე-  
 ლით იჭერს. საუკრადღებოც და საშიშიც არის ამათი უუ-  
 რება. უშიშრათ მიგარდება გველს, წაავლებს კუდში მარ-  
 ცხენა ხელს, მარჯვენას ააეოლებს სწრაფათ ბოლოდან  
 თავამდის და იქ მაგრა მოუჭერს, მერე კუდს ხელიდან  
 გაუშვებს და მარტო თავით უჭირავს; გველი იკლანება,  
 ხელზე და ტანზე ეხვევა, მაგრამ ეს მისთვის არაფერია.  
 შეძეგ აიღებს გაზს და შეამიან კბილებს ამოანტვრევს.  
 კბილებ მონტვრეული გველი საშიში აღარ არის, სანამ  
 მონტვრეულ შეამიანი კბილების მაგიერ სხვა ახალი არ  
 ამოუვა. რასაკვირველია, ასე გველის დაჭერას სიმარდე  
 უნდა, თვარა, თუ როგორმე გველმა უკბინა დამჭერს —  
 სიკვდილი აუცილებელია. არის კიდევ მეორე, უფრო ად-  
 გილი და არა საშიში საშუალება გველის მორჯულებისა.  
 საზოგადოთ გველებს მუზიკა მრიელ უევართ. ინდოელი  
 უკრავს თავის სალამურს, გველი, თუ ახლო მახლოს საღმეა,  
 ამ ხმის გაგონებაზე მიცურდება, მაგრამ ეს ხმა გველს სრუ-  
 ლიად უწერათ შეიქმს, სალამურით აათაბაშებ კიდევ მას.  
 შედგება ჟალხზე, ჯოხივით დაერჭობა და აქეთ-იქით ირ-  
 ხევა. მიწერება თუ არა მუზიკის ხმა, გველი ისევ მიწაზე

დაეშვება, დაიწკრიალებს სალამური, თუ სხვა საკრავი —  
ისევ ისე გველი ცეკვას დაიწებს. ამას უფრო საოვალე-  
ბიან გველებზე ამბობენ.

კოტი.



## უნუგეოზო დედას.



ნუგეშო დედას ჰუკუნის  
ჯერ უმანკო, ნორჩი შეილი,  
უალერსებს, იმედს აძლევს,  
რას ფიქრობო? რაზე ტირი?

გავიზდები, გაემხნევდები,  
გაგახარებ მწუხარესო,  
ამ მარჯვენით გადაგწმენდავ  
თვალთ-მოდენილ მდუღარესო.

დედამ უფრო მოუმატა  
ტირილსა და ცრემლთა ლერასა,  
მაგას ვტირი, ბევრი უნდა,  
შეილო, ჯერ შენ გამოზრდასა.

ვის მიემართო, აღარეინ მყავს,  
ხომ ვერ მიგცემ გარეთ სხვასა?  
აქვითინდა, მოთქმა იწყო,  
შეუერთა ცრემლი ზღვასა.

კნ. ნინო თრბელიანისა.





## გავონილი ზღაპრი.

ყველ ერთი საწყალი ცოლ-ქმარი, რომელიც დიდ სილარიბეში ცხოვრებდენ. სილარიბეზე უმეტესათ, საწყალ ქმარს ცოლის საყველური უფრო აწესებდა, რომელიც სულ იმას ჩასხი-ჩინებდა, რომ მათი სილარიბის მიზეზი მისი

ზარმაცობა იყო. ამ მდგომარეობაში მყოფმა ქმარმა, ასეც იყიქრა, ისეც და ბოლოს გადაწყვიტა, დღიურ მუშაობის წასულიყო სადმე და ყოველი ღონისძიებით, როგორმე თავი დაელწია სილარიბისა და ცოლის საყველურისაგან. ადგა ერთ შეენიერ დილას, გადიწერა პირ-ჯეარი, გამოეთხოვა ცოლს და გაუდგა გზას.

განვლო რამდენიმე წელმა და ამ საწყალმა კაცმა მიაღწია თავის მიზანს. თავის თავ დაუზოგავის მუშაობით მან შეიძინა კარგა ბლომათ ფული და გახარებული დაბრუნდა თავის ქვეყანაში. მანამ თავის ქვეყანაში მიეიდოდა, დიდის მგზავრობით დალალულმა ერთს ქალაქში დაისცენა. ამ ღრის შემჩნია ერთს ალა-გას ხალხის ყრილობა. საშინელმა ცნობის მოყვარეობამ შეიძყრო იგი და მიაშურა იმ ალაგას, სადაც ხალხს მოეყარა თავი. მან გულ-მოდგინებით იკითხა მიზეზი ყრილობისა. როდესაც პასუხათ მიიღო, რომ იქ ჰყიდდენ ჭკუას, ზრდილობას და მოთმინებას, ამაზე მგზავრი ცოტას ხანს დაფიქრდა და რა გაიგო, რომ თვითონეულათ ესენი ღირდა ას თუმნათ, აიღო და იყიდა ჭკუა. გამობრუნდა წამოსასელელათ, მაგრამ ფიქრიდან ის აზრი არ შორდებოდა, რომ ჭკუასთან უთუოთ ზრდილობა და მოთმინებაც საჭიროა, გულმა არ მოუთმინა, რომ ესენიც არ ეყიდნა და იყიდა დანარჩენი ორასი თუმნით ორივე.

ივაჭრა რა ესენი, გამოტრიალდა და წამოვიდა. რაკი სრულე-

შით შემოელია ფული, ხელმეორეთ შეუდგა იმის შავნას. ფიქრობდა: „ტყეუა, ზრდილობა და მოთმინება შეეიძინე, ახლა ფულსაც აღვილათ შეეიძენო და უფრო კმაყოფილი დაბრუნდები ჩემს სახლშიო!“; მაგრამ საწყალ მგზაერს ის აზრიც აწუხებდა; „ვაი თუ ჩემს ნიადაგზე აღარაფერი დამხედეს, აღარც სახლი და აღარც ცოლიო, რაკი სახლიდან ამდენი ხნის წამოსული გარო!“.

გაარა რამოდენიმე გზა და დაინახა აუარებელი აქლემები, რომელთაც დაღონებული პატრონები მისდევედენ. როდესაც ჩენი მგზავრი დაუახლოედა და მიზეზი ჰკითხა, იმათ შესჩივლეს: დიდი მგზაერობით დაღალულთ და სიცხისაგან შეწუხებულთ, ძრიელ მოგვწყურდა, ამ დროს დავინახეთ ჭა, რომელშიც მაშინვე ჩაეგზავნეთ ერთი ჩენენგანი, მაგრამ ის იქიდან აღარ დაბრუნებულა. იმ ერთს მეორე მიჰყავა, მეორეს მესამე და ასე ამ რიგათ დაგველუპენ ამხანაგებიო. ახლა ცალკე იმათი ჭავრი და ცალკე წყურევილი გვაწუხებს და ვინც ამბაეს გაგვიგებს და წყალს გვიშვეის, დიდ ქონებას ვაჩუქებთო. რა მოისმინა ეს ამბაეი მგზაერმა, მაშინვე გადასწყვიტა ჭაში ჩასელა და გაგება, თუ რაში მდგომარეობდა საქმე. ჩაეშეა ჭაში თუ არა, მან დაინახა, რომ ჭის ძირში ზის ერთი თეორ წვერა მოხუცი და მუხლზე უზის მაიმუნი, რომელსაც აღტაცებით ეალერსება და ჰკოცნის. მეორე მჩარეს იჯდა ლამაზი ქალი და ტიროდა. დანახეისათანავე, ქალმა შესჩივლა მგზაერს:

— უყურებ ამ მოხუცის უსამართლობას! ამ მაიმუნს კი ასე ეალერსება და ჰკოცნის და მე, რომელიც ამაზე ლამაზი ვარ, ხმას არა მცემს.

ამაზე მგზაერმა უპასუხა:


— ეგ რა უსამართლობა არის, ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზი ის არისო.

მოხუცი ამ პასუხზე დიდათ გაცკვირდა, დიდ სიხარულს მიეცა, ძრიელ ნასიმოვნებმა, მრავალი მაღლობა შესწირა და ბლომათ წყალიც გამოატანა.

როდესაც იმოდენა ხალხი და აქლემები მან წყლით დააკაცო—  
 ფილა და საჩუქარიც მრავალი მიიღო, დაბრუნდა გახარებული თავის  
 სახლში. მიატანა თუ არა თავის ქოხს—კიდეც დალამდა, კარს იმდროს  
 მიადგა, როდესაც მისი ცოლი იჯდა ცეცხლა პირას, გვერდით უჯ-  
 და ვიღაც ერთი ყმაწევილი კაცი და ვახშამს შეექცეოდენ. რა დაი-  
 ნახა სარკმელში ეს მოულოდნელი ამბავი, მგზავრი სიბრაზით აენ-  
 თო, სისხლი ყელში მოებჯინა, მსწრაფლათ გადმოიღო კისრიდან  
 თოფი, შეაყენა ჩახმახი და რომ დაუმიზნა ყმაწევილ კაცს, მაშინ მას  
 მოაკონდა „მოთმინება“, ამ დროს შემოესმა ხმა;—„რამდენი ხანი  
 იქნება, დედა, რაც მამა წავიდა?“

ამ ლაპარაკზე მას ხელიდან უეცრათ გავარდა თოფი, შეაღო  
 კარი, შეეარდა ქოხში და სიხარულით ალელუებულ გულშა ჩაიკა  
 ცოლშვალი.

უფრო გაფართოვისა.



პირუტყვისა ჭკუა-გონება.



ინც ალალი კაცია, მოუხერხებელი, დაფიქ-  
 რება უეგარს და ნაკლები ებედობა; ვინც ბევრ  
 რაიმე უსიამოვნობას იტანს, ამისთანა კაცზე  
 ხშირათ ამბობენ: „ერთი პირუტყვი კაცია,  
 უგონოვო“... მართლა ასე უგონოა პირუ-  
 ტყვი? მართლა მოკლებულია ის მოსაზრე-  
 ბის ნიჭის? მართლა არა აქვს იმას იმდენი გულის უერი,  
 შემეცნება, რომ დაიხსომოს რაიმე შემთხვევა თავის ცხოვ-  
 რებიდან და შემდეგში აიცილოს თავიდან მოსალოდნელი  
 ხიფათი, უსიამოვნო შემთხვევა და სხ.? ამაზე ბევრი მო-  
 კლეთ უჰასუხებს: „პირუტყვის რა ჭკუა მოეკითხებაო! პი-  
 რუტყვი იმისი პირუტყვია, რომ უგუნური და სულელიაო  
 და სხ.“ მაში ის რაღაა, რომელსამე მოხერხებულ კაცზე  
 რომ იტევიან: „რა ეშმაკია, რა ქასქან ჯიელიაო, სწო-  
 რეთ მელაა, მელაო“? მელა განა პირუტყვი არ არის? და  
 ვინ არის ისეთი ბავში, რომ მელას მოსაზრება, მოხერ-  
 ხება და კუღრაჭობა არ გაეგონოს..? საქმე იმაშია, რომ  
 ჩვენ მელას ცხოვრებას უფრო დაკვირვებივართ და სხვა  
 პირუტყვებზე არ მიგვიქცევია იმდენი უურადღება!. მაგრამ  
 არიან ისეთი, პირნი, რომელიც ბეჭითათ უკვირდებიან

და თვალ-ეურს აღევნებენ პირუტევთა უოფა-ცხოვრებას, იმათ მოქმედებას და ამ დაკვირვებიდან ის აზრი შეუდგენიათ, რომ თითქმის არც ერთი პირუტევი არ არის მოკლებული ჰექა-გონებას. აქ მე გიამბობთ რამდენსამე შემთხვევას პირუტევთა ცხოვრებიდან, საიდანაც ცხადთ მტკიცდება მათი საოცარი გონივრება, მოქმედება და მოხერხება.

### I. ტ რ ე დ ო.

ერთ ტრედს ორი ხუნდა ჰქეავდა. მოჩატდენ, ფთები და მუხლები მოიმაგრეს, ამოცოცდენ ბუდიდან და სატრედოს მოაჯირზე ჩამოსხდენ. ჯერ კიდევ გამოუცდელმა და უდონო ხუნდებმა მოაჯირზე გოგმანიც მომინდომეს, მაგრამ ფეხი დაუსხლტათ და დედამიწაზე ტვინი დაანთხიეს. ცოტა სანს შემდეგ ამ ტრედმა ორი კვერცხი დასდო და ახლა მარტო ერთი ხუნდი გამოჩიკა. აკი, საუბედეუროთ ამ ხუნდსაც იმავე საფათით მოეღო ბოლო, როგორც პირველ ორს! ტრედმა კიდევ გამოჩიკა ერთი ხუნდი. პატარა ბიჭი მოუთმენლათ ელოდა; აბა, გადარჩება და გაიზდება ეს ხუნდი, თუ არაო? გავიდა ერთი კვირა და დედატრედი გულმოღვინეთ უზიდავდა საჭმელს თავის შეილს; გავიდა ორი კვირა — დედა ისევ წამ-და-უწუმ შედი-გამოდიოდა ბუდეში; გავიდა მესამე კვირაც, — ახლა კი დრო იუთ ხუნდს გარეთ გამოესედა და ქვეუნიერება დაეწასა. მაგრამ

ის ჯერ ისევ ბუდეში ჭევლიბინებდა და ფეხსაც არ იცვლიდა იქიდან. მაშინ ბიჭმა კიბე მიიღეა, ჩახედა ბუდეში და ნახა, რომ ხუნდს ფეხებზე ბორკილი ედვა. ამოიგვანა ბარტეი, თავის დედ-მამას მიურბევინა და გაპეირებით შესძახა: „დახუ, დახუ, დედილო, მამილო, რა უქნია ტრედსა! რო ესეც ისე არ ჩამოგარდნილიერ მაღლიდან, როგორც წინანდელები, ფეხები გაუბორენია, ბუდიდან ვეღარ ამოვიდესო! შენ გენაცვალევე... რა ჭკვიანი უოფილა“!

მართლაც, ხუნდს ორივე ფეხზე დახუეული ჰქონდა მაფი, ბალანი, ბალანის ლეროები, ჭილი; ფეხზე დგომის თავი აღარა ჰქონდა. ბორკილი კაი ხნის გაპეობული უნდა უოფილიერ, როცა ხუნდი ჯერ პატაწინა და სუსტი იქო. ეს იქიდან ჩანდა, რომ ფეხები გაბრუდებოდა. თუ ვიფიქრებთ, რომ ხუნდს თავის თავათ გაეხლართა ფეხები, როგორც ხშირათ მოსდისთ ფრინველებს, — იმ შემთხვევაში, ჯერ იმას უნდა ევლო, რომ სიარულის დროს გახლართოდა. სიარული ხუნდებს ორ კვირას შემდეგ შეუძლიათ, მაშ ფეხები სწორე და მაგარი უნდა ჰქონოდა, და არა ასე გამრუდებული, დახუთული. ცხადია, რომ დედას განგებ გაუბორენია ფეხები პატაწაობაშვე, იმ განზრახვით, რომ მესამეთაც უშვილ-უშეოთ არ დარჩენილიერ.

## II. ბირუტეება არითმეტიკა.

თუთიეუში. არითმეტიკა (ანგარიში), რიცხვის გამოყნობა ბირუტეების არა თუ ცოდნიათ, ზოგ მათგანს ამსაგანში ადამიანისათვისაც გადაუჭარბებია, რასაკვარველია, ისეთებისთვის, რომელნიც განათლებას მოკლებულნი არიან: არის ისეთი ველური ხალხი, რომ ათსა და ზოგს ხუთს ზევით თვლა არ შეუძლია. ახლა ბირუტეების გუშუროთ.

ერთი გამოჩენილი მოგზაური, თავის ოთხი ამხანაგით, ერთხელ ალაჩუხიდან (კარავი) სასეირნოთ წასასვლელათ გარეთ გამოვიდენ. გამოსვლისათანავე ალაჩუხში შეფრინდა თუთიეუში, ან უბრალო ცნობის მოუვარეობისათვის, ან იმიტომ, რომ რაიმესთვის კბილი კავკას. მგზავრებმა რომ ეს შენიშნეს, ორი იმათვანი დაბრუნდა კარავში. თუთიეუში გამოფრინდა, იქვე მორიასლოს მოუსვენრათ ხტომა დაიწეო და შიგ შესვლას ვეღარ ჰქონდავდა. ცოტა სანს შემდეგ ერთი მგზავრთაგანი გამოვიდა ქოხიდან, მაგრამ აზრიანი ფრინველი იმ მოსაზრებით, რომ ქოხში ორი კაცი შევიდა და ერთის მეტი არ გამოსულო, მაშასადამე მეორე იქ მიდარაჯებსო, — ვერ ბედავდა შესვლას, თუმცა კარავის ვარშემო კი ტრიალებდა. როცა მეორე მგზავრიც გამოვიდა, თუთიეუში მხოლოდ მაშინ შეფრინდა ცარიელ კარავში. ამ გვარათ თითო-ორ-ორი, ან სა-


მი-ოთხი ამხანაგების ერთათ შესვლა-გამოსვლას შემდეგ  
 მგზავრები დარწმუნდენ, რომ ამ თუთიეუშის თველა ოთხამ-  
 დი ცოდნოდა. ბოლოს ხუთივე ერთათ შევიდენ ქოხში და  
 თითო თითოთ გამოვიდენ, ხან გამოშვებით. თუთიეუში  
 ჭიედავდა ამათ, ჯერ ეჭვობდა შესვლას, მაგრამ როცა  
 იქიდან ოთხი გამოვიდა, ასლა კი აღარავინ ეგონა ში-  
 გა და მაშინვე შეფრინდა, მაგრამ მგზავრების ტუკე კი  
 გახდა.

ბა დალი. აი, უფრო გასაოცარი შემთხვევა პირუტ-  
 ევისაგან ანგარიშის ცოდნისა. „მე მეავდაო, ამბობს ერ-  
 თი გამოჩენილი ექიმი ტიმოფეევი, — ძაღლი, რომელსაც  
 ჩვეულებათა ჭიენდა მიწაში ძვლების დამალვა. ეს ჩვეუ-  
 ლება უველა მაღლებს აქვთ, მაგრამ განსხვავება იმაში იუო,  
 რომ ჩემმა ძაღლმა სხვა-და-სხვა ალაგას იცოდა ძვლების  
 დამარხვა, და არა ერთ ალაგას. ერთხელ მე იმას ცალ-  
 ცალე 26 ძვალი მივეცი. ძაღლს მიჭირნდა თითოეული  
 იმათვანი და ჭმალავდა სადმე სვრელში. მე ამ დროს ვუ-  
 თვალთვალებდი უველა მის მოქმედებას და ვნიშნავდი იმ  
 აღილებს, სადაც ძვლებს ჭმალავდა. როცა 26 ძვალი  
 უველა მიმალ-მომალა, ძაღლი დავამწევდი და რამდენსამე  
 ხანს მშერი ვამეოფე. შემდეგ გამოვუშვი, მაგრამ საჭმელი  
 მაინც კიდევ არ მივეცი. ძაღლი იმ წამსვე გაექანა დამალუ-  
 ლი ძვლების ამოსათხრელათ. ერთს რო ამოიღებდა, მეო-  
 რე ალაგას გაიქცეოდა, ასლა მესამე, მეოთხე და ასე ამოა-

ლაგა სხვა-და-სხვა  
 ადგილებიდან 10  
 მეტალი. ამას შემდეგ  
 მაღლი ცოტა ხანს  
 შეჩერდა და დაკვირ-  
 ვებით დააცეპდა  
 მოკროვილ მვლე-  
 ბს, თითქო ფიქ-  
 რობდა: კიდევ რამ-  
 დენი ძებლი დამრჩა  
 შენახულით. მერე  
 გაიქცა და ისევ  
 დაუწეო მებნა სხვა მვლებს. მეორეთ იმან ცხრა ძებლი  
 ამოთხარა, ცოტა ხანს კიდევ დაფიქრდა და მესამეთ ექვ-  
 ნი ძებლი მოარბევინა, აქ კი წამოუწვა მაღლი მვლებს,  
 თითქო დასასვენებლათ. მაგრამ უეცრათ ისევ წამოხტა,  
 მოაგონდა, რომ ერთი ძებლი კიდევ მაკლიაო, სადღაც  
 გაიქცა და რამდენსამე წამს შემდეგ უკანასკნელი ძებლიც  
 მოარბეინა.

მაღლის საქციელი ამ შემთხვევაში მოგაგონებდათ  
 ადამიანს, რომელიც ღრმათ დაფიქრებული და გართულია  
 რამე ანგარიშებში: ის არსაით არ იცირებოდა, დაჭუ-  
 რებდა მოკროვილ მვლებს და ჭიქრობდა, რამდენი ამო-  
 ვალე და რამდენი დამრჩა ამოსაღებიო?

კატა. ამ გვარათვე გამოუცდია იმავე ექიმს კატა.



„ავიდებდი რაიმე გემრიელ საჭმელს, ზედ ცხვირთან მი-



გუტანდი კატას და ოოგორც  
კი წაელამუნებოდა, საჩაროთ  
მოვამორებდი, წავართმევდი.  
ასე გატეუალებდი კატას  
ხუთჯერ; მეექვეთ კი მივ-  
ცემდი საჭმელს. პირველათ  
კატა შეცდომილებაში ვარდე-  
ბოდა: უკანა ფეხებზე და-  
დგებოდა და საჭმლის გა-  
მოსართმევათ შეხტებოდა. შე-

მდებ კი, აი, ოოგორ ცქცეოდა: ხუთჯერ შეთავაზებაზე კა-  
ტა ერთხელაც არ წამომეტანებოდა, მხოლოთ ხელებში  
შემომცქეროდა, მეექვეთ კი შეხტებოდა და საჭმელს გამო-  
მართმევდა; ამ გვარაო ეს კატა ათამდი თვლას დაგა-  
ჩვიეო“...

ძრო ხები. იმავე ექიმმა ისე დააჩვია თურმე თავი-  
სი ძროხები, რომ ისინი უოველივე მის სურვილს ნაჩვე-  
ნებ ნიშნებით ასრულებდენ: სამჯერ რომ დაუკირებდა სა-  
უკირით, ძროხები წელის დასალევათ წავიდოდენ; ხუთჯერ  
რომ დაუკირებდა — მასთან გროვდებოდენ, ხოლო რო-  
დესაც ბევრჯერ დაუკირებდა — გამწერივდებოდენ და მი-  
ნისკენ გასწევდენ.

მამუნი. ერთმა ჭკვიანმა მაიმუნმა 20-მდე თვლა

იცოდა; მარჯვე-  
ნა ხელს მარწხე-  
ნიდან არჩევდა,  
საჭმელს კოვზით  
სჭამდა და ზოგ-  
ზოგი ლაპარაკიც  
ეშმოდა.

ეს მაგალითე-  
ბი ამტკიცებენ,  
რომ ბირუტეები  
არ არიან მოკლე-  
ბულნი ანგარი-  
შის ნიჭიერებას.  
გამრთვნილ ბი-  
რუტეების უნარი  
ხომ სულ სხვაა  
და გაცილებით  
მეტს ნიჭიერებას  
იჩენს ამ გვარ  
შემთხვევები.



### III. კატა — ჭუჭულების დედობილი.

— რაო? კატა — ფრინველების დაუმინებელი მტერი —  
ჭუჭულების დედობილთ გაგონილა?! ეს ხომ ისევე იქ-

ნება, როგორც თვალი და ცეცხლი, მგელი და ბატყანი, ქორი და წიწილა ერთათ! მაგრამ ჭოო, ზღაპარს მეუბნები, ვანა?

— სრულიათაც არა. ის, რაც ქვემოთ ამისა უნდა გიამბოთ, ზღაპარი კი არა, ნამდვილი შემთხვევაა, რომელსაც ბევრი ძოწამეც დაესწრო. რომელ საქათმეშიაც ეს შემთხვევა მოხდა, იმისი დიასახლისი ერთ დილას მაღიან ცუდ გუნებაზე, დაღონებული იუო: კვერცხებზე მჯდარი თეთრი დედა იხვი იმ ღამეს გადაცვლილიუო, ვიდასაც კისერი მოექვნიტა. ეტეობოდა, ბოროტ თრითონას, ან ვირთაგვას მოესწრაფებინა ჸიცოცხლე საბრალო იხვისათვის, რომელიც დღეს თუ ხვალ დედა უნდა გამხდარი ჟო. გარდაცვალებული იხვის გამოგლოვებას შემდეგ დიასახლისძა ერთი ქათმის კრუხი აიუვანა დ იმას ჩააბარა იხვთა ჩამომავლობაზე დედობრაული ზრუნვა. გამოაცალა თავისი კვერცხები დ დასვა იხვის კვერცხებზე, დედინაცვალმა გამოჩეკით კი გამოჩიკა ჭუჭულები, მაგრამ კერების აღზდა-მოვლაზე ცივი უარი განაცხადა: „მომეწეინება, სხვის შვალების ლოლიაობაში ამოვირთვა სული და გამოვიდამო წუთისოფელიო“, თქვა, და მოიგალათა თავის ცარიელ საბუდარში და შენც არ მომიკვდე, უურებსაც არ იბერტედა, თუ ჭუჭულები წიოდენ, ტიროდენ და უპატრონოთ მირს დაფუთვუთებდენ. მაშინ კრუას მალათი შეუსვეს ჭუჭულები, დაჩულეს ზემოდან კალათი და ამ რიგათ გაათევი-

ნეს დამე, იქნება გული მოიბრუნოს და კიგარი და-  
 ჭეაროს საბრალო ობლებზედაო. მაგრამ, საქმე არა გაქვს?  
 ქაფარ კრუხს მეორე დილით ამოეგლიჯა დახურული კა-  
 ლათი, დაეწისლა სხვისი შეილები და განრისხებული თა-  
 ვის ცარიელ საბუდარს გადაჭვაფროვა და უკმაყოფილოთ  
 კრუხუნებდა. ჭიშულები კი... ვერ წარმოიდგენთ... გარს  
 შემოსვეოდენ იქვე იატაკზე ნებივრათ გადაკორიალებულ  
 თეთრ კატუნიას და იმის ქურქის რბილ ბეწვებში ჰეოფ-  
 დენ თავს, იმალებოდენ, ლაჯებში უძრებოდენ, ჰკოცნიდენ,  
 ეალერსებოდენ. კატაც თავის მხრივ ალერსიანი კრუტუ-  
 ნით შეცემოდა შეილობილებს, ლოკავდა, ეფერებოდა;  
 ერთი სიტყვით, ისე ექცეოდა, თითქო გარს ჭიშულები კი  
 არა, საკუთარი კნუტები ეხვია. ამ საკვირველი სურა-  
 თის სანახავათ მთელი სახლობა და, როგორც მიღებუ-  
 ლია, ცნობის მოუკარე მეზობლობაც მოგროვდა. ადამია-  
 ნებს არ გვიძლიდა კატა ახლოს მისვლას; მაგრამ ამ კა-  
 ტის მეგობარი მაღლიც რომ აგვეღევნა და შემოჰეო თა-  
 ვი საქათმის კარებში, კატა, როგორც გულშემატკიფარი  
 დედინაცევალი, ისეთი სიბრაზით ეცა იმას, რომ შემინე-  
 ბულმა ოთხფეხმა ბოდიში მოიხადა, და იყადრა უკანვე  
 გაბრუნება, კუდ ამოძუებული მოჰკურცხლა.

რამდენსამე დღეს შემდეგ კატა-გამდელი გამოუძლევა  
 წინ და ეზოსაკენ გამოანადირა ჭიშულები. ის მზრუნვე-  
 ლობით აღეწებდა თვალ-უურს და ამორებდა ქათმებსა და

მამლებს... ამ ხეტიალის დროს, სამწუხაოთ, ჰატარა  
 ტბორეს წააწედენ. დაინახეს თუ არა ჭუჭულებმა წეალი,  
 მათში გაიღვიმა ბუნებითმა ალღომ და მხიარულათ შე-  
 ტოპეს შიგ საჭუმპალაოთ. საწეალმა კატამ მლივს მლი-  
 ლით გამოლალა შეილობილები სიმშრალეზე და იმათ  
 დასველებულ ტანს ენით ლოკვა და თათებით შრობა და-  
 უწეო. კიდევ რამდენსამე ხანს შემდეგ, ერთ ამ გვარ სეირ-  
 ნობის დროს, ჭუჭულები, გამდლის წინამძღოლობით,  
 ისევ წაადგნენ ერთ დიდ გუბეს და წინანდებურათ შიგ  
 ხუკილი მოიღეს. კატის სასოწარევეთილებას საზღვარი არა  
 ჭრონდა: გულსაკლავათ კნაოდა, აურბენ-ჩაურბენდა გუ-  
 ბის ნაპირებს და შესვლასაც კი ცდილობდა წეალში,  
 სადაც გახარებული ჭუჭულები დატივტიობდენ და სიამო-  
 ვნებით არხეინათ ჭუჭუმპალაობდენ...

#### IV. წეროს მტერ — მოუვრობა.

„ის ბარტეი იუო, ფოებ დამთავრებული, მაგრამ ჯერ  
 ფრენა კი არ შეემლოვო“, ასე მოგვითხრობს ერთი პი-  
 რუტევთა მეთვალეურე: „როგორც იუო, დავიჭირეთ და  
 წამოვიუგანეთ შინ. ჩვენი ტევე დავაბინავეთ ერთ ცარიელ  
 ოთახში. ველური ფრინველი მალე შეგვეჩვია და შეურიცდა თა-  
 ვის ახალ მდგომარეობას. ვაკუხსენით თუ არა ფოები და ფეხე-  
 ბი, იმას აღარც კი ეშვნოდა ჩვენთან ეოფნისა და მაღიანათ და-  
 უწეო თქვლენა ქათმის წელებს. იმან მალე მოიპოვა საზოგა-

დო თანაგრძნობა ჭ სიუვარული. ვინც არა მკონია მოურბე-  
 ვინებდა თავეს, ბაჟაჟს, თხუნელას ჭ თავაზობდა განებივ-  
 რებულ ტევეს. ამ ვარ პატივისცემის მაურებელი, ის თან-  
 და-თან შინაურდებოდა. ექვს კვირას შემდეგ ოთახის მა-  
 გივრათ ეზოში ცხოვრებდა, მაგრამ გაფრენა ფიქრათაც არ  
 მოსდიოდა. ერთ წელს შემდეგ ხომ ისე შეგვეჩვია, რომ  
 ძაღლივით უკან დაგვდევდა და სმირათ ჩვენს რამე გან-  
 ზრასვასაც ხვდებოდა. მაგალითათ ზაფხულში რომ ჩვენ დი-  
 ლით საბანაოთ წასვლას დავაპირებდით და წერო დაგვი-  
 ნახავდა ზეწრითა და პირსახოცით გარეთ გამოსულს, მა-  
 შინვე მხიარულის უვირილით დანიშნულ ადგილისკენ  
 გასწევდა და ჩვენი მომლოდინე წეალში ბანაობას დაი-  
 წევდა: ჯერ თავს ჩაჰეთვდა წეალში, მერე სან ერთ  
 გვერდს, სან მეორეს, შემდეგ დაიჩოქებდა და კისრამდე  
 ჩაუერუუმელავდებოდა, სანამ ჩვენ ბანაობას დავიწევებდით,  
 ის კიდეც გაათავებდა და ახლა თავის მორთულობის სწო-  
 რებას შეუდგებოდა: გრძელი ნისკარტით გულმოდგინეთ ის-  
 წორებდა თითოეულ ფრთას.

ეველაზე მეტათ ეურადღების ღირსი იუო ამ წერის  
 განწეობილება თავის გარეულ მომმექინან. როგორც კი  
 მოჰკრავდა ეურს იმათი გუნდის უვირილს, რაღაც მოუს-  
 ვერობა და შეწუხება დაეტეობოდა და საშინელ უვირილს  
 მორთავდა. ამ უვირილზე მომმექი დაიწევებდენ მის ახლოს  
 ტრიალს, და, თითქო სიბრალულით, ურჩევდნ ახირებულ

განზრასვისთვის თავი დაწებებინა და იმათთან შეერთებულია. სანგრძლივ ოჩევას და მოლაპარაკებას შემდეგ ჩვენი წერო დაუბულდებოდა, გამლიდა ფოტის და გაფრინდებოდა, მაღლა-მაღლა იმათ სანახავათ; ბაგრამ ამ გვარი ნახვა და მოლაპარაკება მაღიან მცირე სანა გასტან-და და, ოოგორც ეტუობოდა, იმისთვის უსიამოვნებას შეადგენდა: უკან უოველთვის შერტჭვენილი ბრუნვებოდა და მოელ დღეს გუნებაზე აზარ იუო. კარგ გუნებაზე უოფნა წეროს ეტუობოდა ნაფოტებით თამაშობის დროს. წამოჭკრევდა ნისკარტით ნაფოტებს, ისვრიდა მაღლა მაღლა და ოცა მიწს წამოვიდოდა, ცდილობდა ჭარში დაჭერას. სან-და-სან ისეთი გატაცებული იუო ამ თამაშობით, რომ მე მემინოდა ჭკუაზე კი არ შეცდეს-მეთქი.

შინაურ ფრინველებს წერო ვერ ურიგდებოდა, თუმცა, ღვთის წინაშე, უმიზეზოთ არავის არ აუტეხდა ჩხუბს. ან რა გასამტეუნარი იუო, თუ ღმერთი გწამთ: დაუერიდა თუ არა ვინმე ჰურს, ან სხვა საჭმელს, მიუცვივდებოდენ ღორმუცელა იხვები, ქათმები, ბატები, ინდოურები და პირიდან ლუკმას აცლიდენ. ჯერ კი თავაზიანათ, სულგომელებითა და მეგობრულათ მოქაცეოდა, არ დაუძლიდა თავის სუფრაზე მისვლას, მაგრამ ოცა ისინი ისეთ უზრდელობას გამოიჩენდენ, რომ სისარბით ერთი ერთმანეთს ტაციობას დაუწებდენ და წეროს ზედ თავზე ასედებოდენ, ფეხ ქვეშ ჭელავდენ, — მაშ რა ექნა, რომ მოთმინებიდან არ

გამოსულიყო! ამ დროს ინდოურებსა და ქათმებს ლაზათიანათ მიგვიტუებავდა; წიწილ-ჭუჭულებს კი ღინჯათ აიუგანდა ნისკარტით და იქით გადასტურდნიდა.

კარგმა ცხოვრებამ და უკელას უურადღებამ მეტათ გაანებიარეს წერო. სხვათა შორის იმას შეუეგარდა ახალი მოწველილი რძე. როცა კი დაინახავდა, რომ მოსამსახურეს რძე მოჰქონდა, მივარდებოდა, სისარბით დაეწავებოდა და არ მოემვებოდა, სანამ კუჭს სახეოქათ არ ვაიხდიდა. მოსამსახურეს უსაროდა ეს იმისი მსუნავობა და ხმას არა სცემდა, მაგრამ ჩვენ დავუშალეთ, რომ აღარ მიემვა წერო რძესთან. ამ ბრძანების აპრულება იკისრა ერთმა ჩვენმა მოსამსახურემ, ის შოლტით შეიარაღებული გამოუდგებოდა ხოლმე წეროს და გააგვიებდა, როცა ის რძის-კენ მიიწევდა. ამის გამო წერომ აითვალწუნა, შეიძულა თავისი შეურაცხმელფერი და შეუდგა იმის ჯავრის ამოერას. აქ იმდენი გამჭრიახობა და მოხერხება გამოიჩინა ჩვენმა ფოთხსანმა მეგობარმა, რომ მეტი არ იქნება გიამბოთ: წერომ დაიწეო იქიდან, რომ როდესაც მსახური სამოვარსა დგამდა, ვითომც და ტეუილ-უბრალოთ, დაიწევებდა იმის გარშემო ბოლოთის ცემას. ადუღდებოდა თუ არა სამოვარი და მსახური ჭიქების ან სხვა რამის მისართმეჭათ გავიდოდა, წერო იდოვებდა, მოუძვებდა ნისკარტით მილს (ქრანს) და მთელ სამოვარს დააცარიელებდა. პირველათ ჩვენ ეს უბრალო შემთხვევას მივაწერეთ, მაგრამ

როდესაც მსახურმა შემოგვჩივლა, რომ უოველ დღე ასე ხდებაო, ჩვენ დავიმალებოდით მოვარებით სადმე და ვუ-  
თვალთვალებდით, რომ დავოწმუნებულვიუავით, მართლა  
ფთოსნის ოინბაზობა იუ ესა თუ არა? წერო მიიხედ-მოიხე-  
დავდა და რა კი დაატყობდა მარტოკა ვარო, მოუშვებდა სა-  
მოვრის მილს და ჩქარის ნაბიჯით გასწევდა სადმე ეზოს  
მივარდნილ კუთხისაკენ.

სამაგიეროს გადახდაზე მარტო ამითი არ კმაულუილდე-  
ბოდა წერო, იმას უმეტეს ნაწილათ კარზე ემინა, მაგ-  
რამ ხან-და-ხან იმ ოთახშიაც შეჭეავდათ, სადაც მოსამსა-  
ხურებს და იმათთან წეროს მტერ-მოუგარე მსახურსაც ემი-  
ნა, ამ შემთხვევას შემდეგ წერო კარზე აღარ დგებოდა:  
უოველ დაბინდების დროს კარებთან აიტუზებოდა და იმ-  
დენი ხანი აკაკუნებდა, სანამ ვინმე მსახურთაგანი არ შე-  
იბრაზებდა და შინ არ შეუშვებდა. მაშინ წერო წენარათ  
აიუაუვებოდა კუნჭულში და თვლემას დაიწევებდა, შემაგრამ  
როგორც კი მისი მტერი ხვრინვას ამოუშვებდა, ის გას-  
წევდა იმის საწოლისაკენ, ნისკარტით გადახდიდა საბანს  
და ვითომც აქ არაფერიაო, გაიქცეოდა თავის ადგილას.  
რასაკვირველია, უოველთვის არ შერჩებოდა ამ გვარის ემ-  
მაკობა: მოსამსახურემ რამდენჯერსე კარზედაც უჭირლავა  
და ბოლოს სულაც აღარ უშვებდა იმ ოთახში. მაგრამ წე-  
როს რომ კარზე უოფნა მოეწეონებოდა, სხვა ეძმაკობას  
მიჭირუვდა სელს: უღროვო დროს ეცემოდა ფანჯარას სა-

შინელის უკირილით, დაუწევებდა ფოტით და ნისკარტით ცემას და თუ მაინც არ შეუძვებდენ, შეძებს მილექ-მოლექავდა.

დიდ ხანს იუო წერო ასე გადაკიდებული იმ მოსამ-სახურეზე, სახამ თავისი სიცოცხლე არ დაასრულა. ერთ ცივ ზამთარში მოსამსახურებ რაღაც დაუდეგრობისა და ეშმაკობისათვის ის კარზე გამოაგდო. იმ დამეს წერო ისე გაცივდა, ისე დაამრა ფეხები, რომ ჩემმა ამხა-ნავმა იმის საცოდაობის ცქერას ისევ სიკვდილი არჩია და თოფით მოუღო ბოლო.

თ. ჭანდელა-კი.

(შემდეგი იქნება)



თოტოცქის და თიბროდ ფერცვებით თავისონებ შეავსებს  
თხ-წელის შინწნ მეზონცნებს რა ების გა და მასში

## საკვირველებანი გუნებისა.

7.

ნეპანტისი (Le Nepenthis).



რ ვიცი საიდან დავიწეო ამ,  
მართლაც და, საკვირველი მცენა-  
რის აღწერა. ეს მცენარე კი არა,  
თითქოს რაღაცა ზღაპრული ამ-  
ბავია.

უკარს ცხელ ქვეუნებში ცხო-  
ვება. მეფობს და დიდათ თავმო-

წონებულია მაღაგასყარის კუნძულზე; აკვირვებს თავისი-  
უცნაურობით აგრეთვე ბორნეოსა და იავის კუნძულებს.

მისი ევავილების თავთავი ფრიად ლამაზი და ნებიე-  
რი სანახაობისაა, მაგრამ მის ნამდვილ საკვირველებას-  
შეადგენს მხოლოდ ფოთოლი.

ფოთოლი აქვს ნეპანტის მალიან გმელი, სმალივით  
მოევანილობისა, ფართო და მოელგარე. ფოთოლს ბო-  
ლოში აბია ჭახრაკივით დახვეული, წმინდა ბეწვივით  
ბწყალი, ანუ ულვაში და ამ სუსტი და უსუსური ულვა-  
შის წვერზე წამომჯდარია მეტის-მეტი შვენიერი ქოთა-  
ნივით ჭურჭელი. ჭურჭელი ეოვლისფრით სრულია და

საუცხოვოთ შემკული თვალთმაქცი ბუნებისაგან, როგორც  
ფეროვნობით, აკრეოვე მოუკანილობით.

ეველაფერი აქვს ამ ფოთლის ქოთანის: ძირი, მუ-  
ცელი, ელი და, ასე წარმოიდგინეთ, სარტყელიც.

ეს სარტყელი ანუ ხუფი ისეა ამა-  
სთანავე მოწუობილი, რომ თავისთავათ იხ-



დება და იხურება; როცა  
ჭსურს ფოთოლს, ქოთანი  
ახდილია, როცა ჭსურს  
დახურული.

ეს ქოთნები სავსეა  
მუდამ შეენცერი სუნე-  
ლოვანი ნეტარით და ვინც  
ერთხელ დეწაფება, პირს  
გეღარ მოაშორებს. ეს  
არის ნამდვილი წეარო,

სიცხე-ზაპან ქებაში გულის გამაგრილებელი. ხოლო ეს  
წეარო არ ამოსჩეფს, როგორც ჩვენი წეაროები, კლდი-  
დან. ეს არ არის ისეთი უბრალო წეარო; ეს არის წეა-  
რო უკვდავებისა, წეარო ნეტარებისა.

მაგრამ კი ნუ გეგონებათ, რომ ნეპანტისი სწორეთ  
ჩვენთვისა ზრუნავდეს და ჩვენთვის გული შესტკიოდეს;  
რომ გაცის გულისათვის ჭეონდეს მას იმ ნებიერ გრეხილ  
ულვაშებზე გამობმული ის თვალის მიმტაცი ჭურჭლები,  
საუცხოვო სასმელით განმზადებული. სრულიადაც არა.

მას ამ გარეგან საკვირველებასთან სჭირს აგრეთვე ერთი სხვა არა ნაკლებ საკვირველი თვისება. მას უკვარს მწერის ჭამა. მერე როგორი მწერისა? უნდა სულ ოქროსი და ვერცხლის ფრთები ჰქონდეთ და ლალისა და ზურმუხსტის ზურგი და მუცელი. სხვა უბრალო მწერი მას არ იამება, გემოს ვერ ჩაატანს და, რასაკვირველია, შეჭვერის კიდეც ასეთი ახირებული გემოვნება მის მეფურ გარეგნობას.

ამოანათებს თუ არა დილით მზის სხივი, აეხდება მის ჭურჭლებს სარქველები და ღერსევიან ეველა მხრიდან ბჟევრიალა ფერადი მწერები, ასე გეგონება, ქვეუნის თვალმარგალიტი ამ ქოთნებისთვის ზედ დაუბერტებიათო.

დააჯდება მწერი ქოთანს ნაპირზე, მოჭსუსნის იქ თითო ცვარ სიტყბოებას, რომელიც განგებ იმათ მისა-ტშებლათა აქვს გამოშვენილი მცენარეს, და რა შეამჩნევს შიგაც ამ გვარსავე სიტყბოებას, ჩახტება შიგ.

მაგრამ ჩახტომა და გაბრუება მწერისა ერთია და თუ გაათია შიგ ერთი წუთი, მორჩენილია მისი საქმე, ველარა უშველის რა. წვენი მცენარისა მას ჰქლავს და შემდეგ სრულიად ინელებს.

მწერის მაგიურ რომ ხორცის ნაჭერი ჩააგდოთ შიგ, იმასაც იმ დღეს დაუენებს და არა თუ ხორცი, კანატელასაც მოინელებს, მხოლოთ ისე ჩქარა კი ვერა, როგორც მწერს.

## ძველი პურშარილი ვის ახსოებს?



როგორ მცენარი საფანგში გაება. დღი  
ვაი-ვაგლახს ძემდეგ, როგორც იუთ,  
თავი გაითავისუფლა და გაეშურა ტე-  
სკენ. გზაზე მონადირები ძეხვდენ და  
გამოუდგენ უკან. წინ მცენარი, უკან მო-  
ნადირები. მირბის მცენარი რაც მალი  
და ღონე აქვს. წინ გლეხი შემოხვდე-  
ბა, რომელსაც ცალიერი ტომარი მხარ-  
ზე უდევს და სელში სიმინდის საცემი  
კეტი უჭირავს. „მიშველე, გლეხო, დამმალე მაგ ტომარა-  
ში, თორემ ვიღუპები, მონადირეები მომდევენ“. ეხვეწება  
მცენარი.— გლეხს შეებრალა და ჩასვა ტომარაში. ამ დროს  
მოაწიეს მონადირეებმაც.

„გაცო, მცენარი ხომ არ გინახავს?“ „არა, არ მინა-  
ხავს“, უპასუხა გლეხმა. „ჩაიარეს ჩემმა მტრებმა? ეკით-  
ხება მცენარი გლეხს“.— ჩაიარეს. „აბა, გამიშვი ახლა“.  
გლეხმა გამოუშეა მცენარი.

— გლეხო, უნდა შეგჭამო.

— რას ამბობ, მცენარი, ამისთანა უბედურებისაგან და-  
გიხსენი და შეჭმას მიპირებ.

— ეჭ, მკელი პურ-მარილი ვის ახსოვს! — უპასუხა  
მგელმა.

— კარგი, რა გაეწეობა, მაგრამ ცოტა გავიაროთ, და-  
ვეკითხოთ სხვასაც; თუ მინმე შენსავით იტევის, მაშინ შე-  
მჯამე.

წავიდენ. წინ შემოხვდათ ბებერი ცხენი, ერთი გვი-  
თხარი, ცხენო; ეს მგელი მე უბედურებას გადაგარჩინე,  
ახლა შეჭმას მიაირებს. განა სამართალია?

ცხენმა თავი ჩაღუნა და უთხრა: „ოცი წელიწადია,  
რაც მე ჩემ პატრონს ვემსახურები. ღღე და ღამ მოსვე-  
ნება არა მქონია, მაგრამ, აი, რაკი დავბერდი, როდილა  
ახსოვს, ღამე ამწია და ხრამში გადამაგდო, ძლიერს ცო-  
ცხალი გადაჭრის; როგორც იუთ ამოვაწიე ხრამიდან; ახლა  
დავხეტიალობ მშიერ-მწუჟურვალი. მართალია, მკელი პურ-  
მარილი არავის ახსოვს.“

მგელმა შეჭმა მოუნდომა გლეხს, მაგრამ გლეხმა უთ-  
ხრა: „ცოტა კიდევ მოითმინე, იქნება ვისმე შევეუაროთო“.

წავიდენ. წინ შემოხვდათ ბებერი მაღლი. ახლა ამას  
დაეკითხენ. მაღლმა უპასუხა:

„თუთმეტ წელზე მეტია, რაც მე ჩემ პატრონს ვეძ-  
სახურე. დღითი ჯოგებს ვუმწევსავდი და ღამე სახლ-  
გარს. მაგრამ რა დავბერდი და უეფა ვერარ შევიძელ, არ  
გამიტანა, გარეთ გამომაგდო და ახლა დავხეტები გზა-  
გზა“.

— არ გითხარი, გლეხო, ნიშნის მოგებით უთხრა  
მგელმა.

შეწუხდა გლეხი. ღიღი სვერცით და მუდარით ძლიერ  
დაითანხმა მგელი, რომ ერთისათვის კიდევ ეკითხა. დაად-  
გენ გზას. წინ მელა შემოხვდათ. გლეხმა უველავერი და-  
წვრილებით უამბო. მელიამ მოისმინა გლეხის ნაამბობი  
და თქვა.

— როგორ დავიჭერო, რომ ამოდენა ცხოველი ტო-  
მარაში ჩაეტა!

გლეხი და მგელი ეფიცებიან, ეს ასე იუოო.

— აბა, მიჩვენე, გლეხო, როგორ ჩასვი მგელი ტო-  
მარაში? გლეხმა ტომარა გამალა, მგელმა თავი ჩაჭუო.

— როგორ, მარტო თავი ჰქონდა მგელს ტომარაში?  
წამოიძახა მელიამ.

მგელი სულ ჩაძერა ტომარაში.

— აბა, გლეხო, მაჩვენე, როგორ მოუკარ თავი.

გლეხმა მაგრათ მოუკარა ტომარას თავი.

— აბა, ახლა მიჩვენე, თუ თქვენში სიმინდს როგორ  
ცეხვენ.

გლეხმა აიღო საცენვი პეტი, დაურთო მგელს ზურ-  
გზე და სული გააფრთხობია.

ბესარიონისა.



## გ ი ხ ა პ ი .



უელი ციხის ნანგრევებში ტურფა მიხაკი ამო-  
 სულიერ, თავისი საუცხოვო, ოქროს ფერი  
 უვავილები კედლის ნანგრევზე გადაეძალა,  
 სრული თავისუფლებით ტკბებოდა და თან  
 გაიძახოდა: — რა შენიერი გარო!

ქარი, რომელიც წვილით შეხლართულ მკელ თაღებ-  
 ში თავისუფლათ ზუზუნებდა, იმეორებდა: — დიახ, შენიე-  
 რი ხარ!

— აქ რა ჩემი ალაგია? ამბობდა მიხაკი: ამ უდაბურ  
 და დადუმებულ ალაგებში რისთვის უნდა დაიღუპოს ჩემი  
 სილამაზე? ნუ თუ არ შემშენის იმ უვავილებ შორის ეოფ-  
 ნა, რომლებიც ვერც სილამაზით და ვერც სუნნელებით  
 ჩემთან გერ გამოჩნდებიან?

ქარმა დაზუზუნა, წვილის ფოთლებიც ათროთოლდენ  
 და ბანი მიცეს:

— ნუ თუ დააგდებ შენს სამშობლო კუთხეს, შენი სი-

უმაწვილის მეგობრებს? აქ შენსენ მოისწრაფის მინდვრის ფუტებრი; ფრინვლები შენ გიძლერიან და ჩვენს განმარტოებულ და ჩუმ კუთხეში ვარსკვლაპივთ ციმციმებ... მაღალე მგზავრმა მოწევიტა მიხაკის გაფურჩქვნილი უვაკილი, რომ სახლში წაედო. მიხაკმა, რომელსაც ფუტებრის ალერსი, ჩიტების სიუფარული და ქარის ნანინა ვეღარ აკმაუფილებდენ, მგზავრს მიამახა:

— მეც წამილე იმ ალაგს, რომელიც უფრო შემვენის ჩემ სილაპაზეს, სადაც მე უფრო დამაფასებენ. ნუ გამხდი ამ მარტოობის მსხვერპლათ, სადაც ვერავინ მხედავს და მწუხარების მეტს ვერას ვგრძნობ.

მგზავრმა ამოთხარა მიხაკი და მალიან შორს წაიღო... აი, ახლა ის საუცხოვო ბაზშია, მვირფას და ფრთხილათ შენახულ უვაკილებ შორის.

— ეს ვინ არის? თქვა ერთმა უვაკილმა.

— ეს ვინ მოთრეულა ჩვენთან? უქვა მეორემ.

— ეს და გვაკლდა! ნეტაი ჩვენ, თუ მინდვრის ბალანებიც გვერდმი ამოგვეტუზენ! დაუმატა მესამემ.

ტეუილა ძლიდა მიხაკი თავის უვაკილებს: მედიდური ამხანავების საუცხოვოთ აფერადებული უვაკილები მის წითელ ხავედის ფერ უვაკილებს მთლათ ჩრდილავდენ; მიხაკი ცდილობდა, გარშემო შვენიერი სუნნელება მოეფინა, მაგრამ მისი სუნი სრულიად მკრთალი იყო სხვა უგავილების საუცხოვო სუნთან შედარებით.

— ეჭ, ჩემთ ნანგრევებო, ჩემთ ძველო კედელო! ამო-  
იხვნება მწუხარეთ მიხამა: — ქარის ტკბილო ნანინა, მხია-  
რულო ფრინველებო, ძვირფასო მეგობრებო! თქვენი ფა-  
სი არაფერი არ არის?!

მწუხარებამ მიხაკი დააჭინო და ის გადაგდეს, საუ-  
ცხოვო ბაღიდან შორის გადატეორცნეს.

ლილა.

### აზრიანი გლეხი.



ი გ ა გ ი

ეო ერთი საწყალი გლეხი. რაღაც შემთხვევით  
იმოვნა ცხენი; უნაგირი კი არა ჰქონდა და მისი  
ერდვისთვის არც ფული მოეპოვებოდა. ამგვარათ  
მისთვის ცხენის ეოლა უსარგებლოთ რჩებოდა.

იფიქრა, იფიქრა და, ბოლოს, გადაწევიტა: მოდი,  
გავეიდი ცხენს, ფულს შევიძენ და მით უნაგირს ვიუ-  
დიო. თქვა და აასრულა: უნაგირი შეიძინა, მაგრამ ახლა  
უცხენოთ დარჩა.

ალ. მირიან შვილი.

სამეცნიერო გასართობი.

1.

ურჩი სამშაურიანი.

იღე კერცხლის სამშაურიანი, მიღდე შუბლზე და მიღიშირე ზედ თითო, ფული შუბლზე მოგეკვრება. მაძინ გაძლიცხადე შენს ამხანაგებს: მე შემიმღიან ისე შეკვეჭუსნო შუბლი და ავათამაშო წარბები, რომ ფული თავისთავათ მირს ჩამოვარდესთქო. შეიჯმუხნე მერე შუბლი და ფული, რასაკვირველია, იმავე წამს ჩამოვარდება. ეს ამბავი სიცილათაც არ ეუფათ შენს ამხანაგებს. ეველა გეტეგის: მოიტა მეც გავაკეთებ, მეც ჩამოვარდებ შუბლის ჭმუხვნით, მანდ რა არის მნელიო. შენც აიღე ის სამშაურიანი, მიღდე შუბლზე ერთ ერთს, რომელიც უფრო იმათმი თავგამოდებული იუოს, მიაჭირე მცირე ხანს თითო და მერე, ხელი რო უკან წამოიღო, ფულიც ხელს გამოაუოლე; დადექ მოშორებით და უცქირე სეირს.

მართლა სასაცილო იქნება მისი მდგომარეობა. ის კერ იგრმნობს, რომ ფული ზედ აღარა აქვს და მოჭევება საშინლათ შუბლის ჭმუხვნას, წარბების თამაშს და მოელი სახის ღმანჭვას. მხოლოდ რამდენსამე წუთს შემდეგ თუ მიჟხვდება თავის შეცდომილებას და იტაცებს შუბლზე ხელს დასარწმუნებლათ.

დიდი სის შეხვეული ნამტკივნი თითო რომ გაიხსნას პატმა, კადეგ გაი ხანს სულ ისე ჭირნა, თითქოს ჭერ ისეგ შეხვეული მაქვსო. ბორა.

## କାଳକୁରି ଲ୍ଲେବ୍‌ସି.

(ଚିତ୍ରମଳିଗ୍ରେନ୍‌ଲୋ ଶାହରିଶତାବ୍ଦୀରେଣ୍ଟିସାଗାନ)

ଶେନି କିରିମଧ୍ୟ ବାଜ୍ଯକାପୁର,  
ମାମ୍ବୁଲିସ ଶ୍ଵେତିଲା, ଗୁଲାଦଳ;  
ବିଶାପ ମନଦିନ ଗିରିନ୍ଦି ତ୍ରୈଷ ଶାଲାଦ  
ଓ ମତ୍ରେରିଶା କ୍ଷେତ୍ରେବି ମତ୍ରକୁଲାଦଳ,  
ବିଶାପ ହାଗରୁଲତା ପ୍ରେକ୍ଷେରେବା  
ଗୁଲିଶି ଗିରିନ୍ଦରେବା ନ୍ୟୁଲୁଲାତଳ  
ଓ ଫାରିହିନ୍ଦରେବା ମନ୍ଦ୍ୟବସତା  
ଗିରିନ୍ଦି ଲାଇ ଶିଥାରୁଲାତଳ,  
ବିଶାପ ତାଣି ଶିଥାରୁଲିତ ନିଧରିନ୍ଦି  
ଲାଇ ଏହ ଦାକ୍ଷିକାରିଗ୍ରେ ତ୍ୟୁଲାତଳ  
ଓ ଶେନି ଶାଖେଲ ଲାଇଦରେବା  
ମତ୍ରେରିଶା ଏହ ମାତ୍ରିନ୍ଦି ମତ୍ରକୁଲାତଳ.

ଗା ମି ଚାନ୍ଦା.

(ଚିତ୍ରମଳିଗ୍ରେନ୍‌ଲୋ ଓ. ରାଜିକାଶ୍ଵରିଣ୍ଟିସାଗାନ).

ନ୍ୟୁଲିଶି କିଲ—ତ୍ରୈଶି ଏହ ଏହିଲ, ଲୁଲୁନ୍ଦରେବି—  
ତ୍ରୈଶି ଏହ ଏହିଲ; ଦାଲାକ୍ଷେତା କ୍ଷାମି—ଦରିକ୍ଷେତା ଏହ ଏହିଲ.

ଶୁପ୍ରିନ୍ଦାନୁରି ଶାନାକ୍ଷେତି ମେ ଲ୍ଲେବ ଦ୍ଵାରିନାକ୍ଷେତି,  
ଶୁପ୍ରିବୀତ ପାଶି ନାହିଁ କାହିଁ, କ୍ଷାଲିତ ବେଳା ବନ୍ଦାକ୍ଷେତି.

ପ୍ରାନି କୋଶ, ମୁପ୍ରେଲି କ୍ଷେତିଶ, ଦାଲାକ୍ଷେତା କ୍ଷାମି, ନା-  
ପାରିଶା ଶୁପ୍ରିନ୍ଦି.



୧୬ ଡିସେମ୍ବର ୧

ମନୁଷୁ ବିନ୍ଦୁ ପାଦରେ ଜୀବିତରେ ଯେ କଥାରେ— ଲିଖିବା କଥାରେ  
କ୍ରମି ବିନ୍ଦୁରେ ଏହି କଥାରେ ଜୀବିତରେ ଯେ କଥାରେ— ଯେତେ କ୍ରମି  
ବିନ୍ଦୁରେ

୧୬ ଡିସେମ୍ବର ୧

(ହିନ୍ଦୁମନ୍ଦିରଙ୍କିଳୀ ମ. ଲ୍ଲେଲାଶ୍ଵିଲୀଙ୍କାଙ୍କାନ).

ଶୁଣୁଗୁରୁ ତେବେନୀ ଶୁଭୁନ୍ତରୁକୁ,  
ନାରମ୍ଭେବୀ ପ୍ରକିଳନୀ:

ମାମାମ ଶ୍ରେଷ୍ଠାମା ଦେଖିବିମି,  
ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ ମନୁକରା ପ୍ରକିଳନୀ.

ସିଂହାଚ ଲ୍ଲେବିଲୀ ଏଶିନୀନ ଶ୍ରେନ ଦିଲିଶି ନୃ ଶ୍ରେନିନିନ.

ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ ଏଶିନୀନ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ ଏଶିନୀନ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ

ଅ କାନ୍ତି କାନ୍ତି କାନ୍ତି

(ହିନ୍ଦୁମନ୍ଦିରଙ୍କିଳୀ ମ. କୁନ୍ତିଶ୍ଵିଲୀଙ୍କାଙ୍କାନ.)

ମୁହାମ ଅଯଳିଶି ନିର୍ମର୍ଗେବୀ,  
ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ;  
ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ, ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ;

ଅନ୍ତିମେତ୍ରିକୁଳି ଗାମିଫରାନା.

(ହିନ୍ଦୁମନ୍ଦିରଙ୍କିଳୀ ଟ. କନ୍ଦିଲାଙ୍କାଙ୍କାନ).

କୁଳାଶି ମନ୍ଦିରରେ ରାମଦେବିନିମ୍ବ ହିତିରେ ରାମପା ରାମ-ରାମ ଦାଖିଲା

තිතිතු තේතේ,—ගුරුති තේ පාරිඝලි දාර්හා; තිතිතු තේතේ රැං තිතිතු  
 හිතු දාජලා—ගුරුති තේ දාජලදාත. රාමදෙනි තේ දා රාමදෙනි හිතු  
 උජ්ජ්බඳදා?


### ඡ අ ර එ ද එ ප ම එ එ

(ඉලමුදගුණිලි ඩී. ලුදාව්‍යිල්-සාගාන).

පිරුවෝලි, ටෙක්රිස දෙදා චල්පූටුක්වාම් තේවුදිස් ජාරිජ්බිත,  
 මෝරු, ගෝඩලුවේ පුජ්බේලියි මුශ්ක්ල ආභ්‍යාස වෙත මිවුයාරිජ්බිත,  
 මේසාමේ, ඖනදා මෙයික්මෙත හිටුනි මේවුදිස් නාජිලි,  
 මෝරිතේ සිලුවා—තූ සාම්ජ ගාව්චාව්‍යෙත බිං්ඩි, යුඩ්චිලි;  
 සාග්‍රහිත ගුරුත දෙවා ග්‍යාග්‍රහ්‍යෙක්, රැංමුදිලිපි ඖ්‍යුම්‍යෙත මිවුලුදා,  
 ජ්‍යාලිස්ත්‍රේස මේවුදිස් දෙවාදාන්වේ මූදාම ගුරුත ද්‍රිහ්‍යේ මිවුලුදා.



## ඛේඛුසර

(ඉලමුදගුණිලි ඩී. ඩිංඩුව්‍යිල්-සාගාන).



ජ්‍යාලිස්ත්‍රේස  
 මේවුදිස්.







## ନଂ VI ଗାମିପାନ୍ଦେଖିଲା.

ଅକ୍ରମିକାଳେ ଜୀବିତ ଉଦ୍‌ଦିନ.

ଗାମିପାନ୍ଦା: ପାରଣ୍ଡା. ଠର୍ମି.

ଲେଖକ: ପ୍ରଦୀପିଲାଲ ମିଶରାଙ୍କିରଣ, ବିନନ୍ଦା ମାର୍କଟଲିଙ୍କରେ ମତ୍ତେମେଲିଙ୍କ,  
ଗୁଲାମିଲାଲ ମାର୍କଟାଲିଙ୍କ ପାରଣ୍ଡା ପ୍ରଦୀପିଲାଲଙ୍କିରଣଙ୍କିରଣ.

ଅକ୍ରମିକାଳେ ଗାମିପାନ୍ଦା: ୩୬ ପାରଣ୍ଡା ରୂପ.

ଲେଖକ: ପ୍ରଦୀପିଲାଲ ମିଶରାଙ୍କିରଣ ପାରଣ୍ଡା: ମିଶରାଙ୍କିରଣ ନିନା କାନ୍ତୁପା-  
ଶ୍ଵେତିଲାଲ ପାରଣ୍ଡା: ପାରଣ୍ଡା ଲାଲିଲାଶ୍ଵେତିଲାଲ.

